



# International Scientific Conference

for BA, MA and PhD students

# ABSTRACTS ODSOUSS

ᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲘᲐᲢᲘᲡ, ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲐᲜᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ

ᲛᲔᲐᲗᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

11-12.06.2022

# ՆՆᲠᲩᲔᲕՈ CONTENTS

საერთაშორისო შრთიერთობების სექცია Section of International Relations3
ჟურნალისტიკის სექცია Section of Journalism31
სბმბრ0ლის სექციბ Section of Law49
მევენახეMბა-მელვበნეMბՈს სექცበა Section of Viticulture-Winemaking74
ອວ©∩ຍ∩6∩ບ ບວວຍ∩ວ Section of Medicine88
სტომატოლოგიის სექცია Section of Dentistry122
ბႶზნესႶს სეᲥᲪᲘᲐ / ეკᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘს ᲥᲕᲔᲡᲔᲥᲪᲘᲐ Section of Business / Subsection of Economics135
ბႶზნესՈს სექცႶა / ტურႶზმႶს ქვესექცႶა Section of Business / Subsection of Tourism148
ბႶზნესՈს სექცႶა / ᲓႶნანსებႶს ქვესექცႶა Section of Business / Subsection of Finances161
Ირბნისტიპის პირველი სეძციბ The First Section of Iranian Studies168
กักวัธกิบัยกิงกับ อวกักว บวิวิชิกิวั The Second Section of Iranian Studies188

# სბერთბშორისო ურთიერთობების სექციბ Section of International Relations

ალექსანდრე მგალობლიშვილი კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი მაგისტრანტი ხელმძღვანელი: **ვახტანგ მაისაია** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### ჩინეთის სტრატეგიული ლიდერობა და ბირთვული უსაფრთხოება

ჩინეთმა XXI საუკუნეში უდაოდ მოახერხა გაეზარდა თავისი გეოპოლიტიკური გავლენა მთელს მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, ჩინეთის პოლიკიტის კვლევის მნიშვნელობა უნდა იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სახელმწიფოსათვის. ჩინეთს თავისი ამბიციები სხვადასხვა მიმართულებით ოფიციალურად აქვს გაცხადებული. გარდა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნებისა, ჩინეთი ასევე იღვწის ხმელეთზე, ზღვაზე და თუნდაც კოსმოსში სტრატეგიული ლიდერობის მოსაპოვებლად.

ჩინეთის ბირთვულ უსაფრთხოებას უდიდესი როლი აქვს საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის ისევე როგორც გლობალური უსაფრთხოების შენარჩუნებაში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ფლობს და ავითარებს მასობრივი განადგურების იარაღს, მათ შორის ქიმიურ და ბირთვულ არსენალსაც.

ჩინეთმა 1964 წელს პირველად გამოსცადა ბირთვული იარაღი, პირველი წყალბადის ბომბი გამოიცადა 1967 წელს. ცდები გაგრძელდა 1996 წლამდე, სწორედ ამ დროს მოაწერა ხელი ჩინეთმა "ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას ცდების აკრძალვასთან დაკავშირებით". (CTBT).

1984 წელს ჩინეთი დაეთანხმა "ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის შესახებ კონვენციას, (BWC). 1997 წელს განახორციელა "ქიმიური იარაღის კონვენციის" (CWC) რატიფიკაცია. ბირთვული ქობინების რაოდენობა ჩინეთის სახელმწიფო საიდუმლოებაა. არსებობს ამ რაოდენობის დაახლოებითი შეფასება. "ამერიკის ფედერაციის მეცნიერების" მიხედვით ჩინეთის არსენალში 2015 წლის მონაცემებით წარმოდგენილია 260 ბირთვული ქობინა, რაც სიდიდით მეოთხეა ხუთ ოფიციალურ ბირთვულ სახელმწიფოს შორის. (რომლებიც ოფიციალურად არის აღიარებული ხელშეკრულებით "ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.) ზოგიერთი დაანგარიშებით ჩინეთს შესაძლოა რეალურად ორჯერ უფრო

მეტი რაოდენობის რაკეტები ჰქონდეს, რამაც შესაძლოა აშშ-ს საფრთხე შუქმნას 2022 (წლის შუა ხანებისათვის. 2011 წლის დასაწყისში ჩინეთმა გამოაქვეყნა "თავდაცვის წიგნაკი" რაშიც იმეორებს პოლიტიკას ბირთვულ შეკავებასთან დაკავშირებით და ე. წ. "a no-firstuse" საკითხებს. ჩინეთის ბირთვული გადახალისება, ბირთვული შესაძლებლობების განვითარება ლოგიკურ საფრთხეს იწვევს.

Aleksandre Mgaloblishvili
Caucasus International University
Master's degree
Supervisor: Vakhtang Maisaia
Doctor of Political Science,
Professor

#### China Strategic Leadership and Nuclear Security

It is undoubted that China has managed to raise its geopolitical influence all over world in 21st century. Therefore, the meaning of research China policy should be one of the top-important priority for states. China has officially declared its ambitiousness on different aspects, besides the economic and political goals, China also seeks to gain strategic leadership in the ground, in the sea and even in the universe.

The nuclear security of China has tremendous role in the way to embody its foreign policy as well as to maintain global security. The People's Republic of China has developed and possesses weapons of mass destruction, including chemical and nuclear weapons.

The first of China's nuclear weapons tests took place in 1964, and its first hydrogen bomb test occurred in 1967. Tests continued until 1996, when China signed the "Comprehensive Test Ban Treaty" (CTBT).

China has acceded to the Biological and Toxin Weapons Convention (BWC) in 1984 and ratified the "Chemical Weapons Convention" (CWC) in 1997. The number of nuclear warheads in China's arsenal is a state secret. There are varying estimates of the size of China's arsenal. China was estimated by the "Federation of American Scientists" to have an arsenal of about 260 total warheads as of 2015, the fourth largest nuclear arsenal amongst the five nuclear weapon states acknowledged by the "Treaty on the Nonproliferation of Nuclear Weapons". According to some estimates, the country could "more than double" the "number of warheads on missiles that could threaten the United States by the mid-2020s". Early in 2011, China published a defense white paper, which repeated its nuclear policies of maintaining a minimum deterrent with a no-first-use pledge. This, together with the fact that "it is deploying four new nuclear-capable ballistic missiles, invites concern as to the scale and intention of China's nuclear upgrade".

ბესიკ თავართქილაძე,
კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ბექა ბოლქვაძე
კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ბეკალავრი
ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

#### ჰიბრიდული ომები და პროცესები საინფორმაციო გარემოში

ომის ბუნება XXI საუკუნეშიც არ შეცვლილა, თუმცა გლობალიზაციისა და განვითარების კვალდაკვალ შეიცვალა თავად კონფლიქტის ხასიათი და გაჩნდა კონფლიქტის ახალი ფორმა - ჰიბრიდული ომი. ჰიბრიდული ომისთვის უპირველესი მაჩვენებელია არასამხედრო საშუალებებით სტრატეგიული ამოცანების მიღწევა. ამჟამად ჰიბრიდული ომი სახელმწიფოთა, მათ შორის ევროკავშირის წევრების წინააღმდეგ, მირითადად, მოიცავს ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების გამოყენებას, საარჩევნო პროცესებში ჩარევას, დეზინფორმაციას, კიბერთავდასხმებსა და ფინანსური ზეგავლენების გამოყენებას.

ჰიზრიდული ომისათვის ერთ-ერთი და შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი მახასიათებელი ის არის რომ იგი ქმნის გარკვეულ ბარიერს "მსხვერპლი" სახელმწიფოს საპასუხო მოქმედებისათვის.

ჰიზრიდული ომის ძირითადი არსი გულისხმობს მასშტაბური საერთაშორისო აქტორების მხრიდან პატარა მოწყვლადი სახელმწიფოების წინააღმდეგ გატარებულ ისეთ ქმედებებს ან ქმედებათა ერთობლიობას, რომელიც სამიზნე ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემას კრიტიკულად დაასუსუტებს, ხოლო ყოველივე ეს ზრდის ჰიბრიდული ომის მწარმოებელი ქვეყნის გეოპოლიტიკური თუ გეოსტრატეგიული ინტერესების განხორციელებისათვის ოპერირების არეალს.

Besik Tavartkiladze,
Caucasus International University
Bachelor
Beka Bolkvadze
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Vakhtang Maisaia
Doctor of Political Science, Professor

#### Hybrid wars and processes in the information environment

The nature of war has not changed in the 21st century, but in the wake of globalization and development, the nature of the conflict itself has changed and a new form of conflict has emerged - the hybrid war.

Achieving the strategic objectives of non-military means for a hybrid war is a key indicator. Currently, hybrid warfare mainly involves the use of technology and information, interference in electoral processes, disinformation, cyber-attacks and the use of financial influence.

One of the, and arguably most important, features of hybrid warfare is that it creates a certain barrier for the "victim" state to retaliate.

The essence of hybrid warfare lies in large-scale international actors acting against small vulnerable states or a combination of actions that critically weaken the target country's national security system, all of which increase the hybrid war-torn country to pursue its own geopolitical or geostrategic interests.

დავით ფეიქრიშვილი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დოქტორანტი ხელმძღვანელი: **ვახტანგ მაისაია** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი;

#### სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების ეკონომიკური უსაფრთხოება პოსტსაბჭოთა პერიოდში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის რეგიონის პოსტსაბჭოთა ქვეყნების უსაფრთხოების დღის წესრიგი უფრო ახლო გახდა მოსახლეობისთვის. შედეგად, ეკონომიკური კრიზისი, გარემოს დაზინძურება და კლიმატის ცვლილება, ტერორიზმი, ხალხის პოლიტიკური და სოციალური მოლოდინები და სხვა მსგავსი პრობლემები სახელმწიფოების მთავარ გამოწვევად გადაიქცა. ასეთი პრობლემებისგან გამოწვეული საფრთხეები განსხვავდება ტრადიციულისგან და მათ, შესაბამისად, "არატრადიციულ საფრთხეებს"; უწოდებენ. როგორც ყოფილ საბჭოთა კომუნისტურ ეკონომიკას, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს - აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს ბევრი მსგავსი და განსხვავებული ეკონომიკური მახასიათებელი აქვთ. ჯერ ერთი, საბაზისო საწარმოო ინფრასტრუქტურა როგორც ისე მსუბუქ მრეწველობაში უკვე მოძველებულია და საჭიროებს მოდერნიზებას, რაც დიდ ფინანსურ ინვესტიციებს მოითხოვს. მეორე მხრივ, კორუფცია და არაჯანსაღი კონკურენტული გარემო ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოადგენს. ამრიგად, ამ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევებზე რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში სამხრეთ კავკასიის მაგალითზე.

Davit Peikrishvili,
Caucasus International University
Doctorate
Supervisor: Vakhtang Maisaia,
Doctor of Political Science,
Professor

#### Economic security of the subjects of the South Caucasus in the post-Soviet period;

After the collapse of the Soviet Union, the security agenda of the post-Soviet countries of the Caucasus region became closer to the population. As a result, the economic crisis, environmental pollution and climate change, terrorism, people's political and social expectations, and other similar problems have become serious challenges for states. The hazards associated with such problems are different from traditional and therefore from "non-traditional hazards". Like the former Soviet-communist economies, the countries of the South Caucasus - Azerbaijan, Armenia and Georgia - share many similar and different economic characteristics. First, the basic production infrastructure in heavy and light industries is already outdated and needs to be modernized, requiring large financial investments. On the other hand, corruption and an unhealthy competitive environment are serious obstacles to economic development. Thus, in this article, using the example of the South Caucasus, I will try to focus on the challenges of economic security in the context of regional security.

თინათინ ქიკაიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დოქტორანტი ხელმძღვანელი: თამარ კიკნაძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

#### კორუფციის გამოვლინება მსოფლიოს და ქართულ პოლიტიკაში

კორუფცია მსოფლიო პოლიტიკაში ერთ - ერთი აქტუალური და პრობლემური საკითხია. ასეთი აქტუალური პოლიტოლოგიური კატეგორია მოიცავს განსხვავებული ტერმინოლოგიური ინტერპრეტაციების განხილვას.

პოლიტიკური კორუფციის არაერთი განმარტების მიუხედავად, არ არსებობს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რომელი ქმედებაა კორუფცია და რომელი არა.

კორუფცია ეხება არა მხოლოდ მთავრობას, არამედ კომერციულ სტრუქტურებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც. ძალაუფლება და კორუფცია მუდამ

ერთმანეთის განუყოფელი ნაწილი იყო და ცივილიზაციის, სახელმწიფოს, მოსახლეობის განვითარება კორუფციის განვითარებასთან ერთად ხდებოდა. კორუფციაში მოიაზრებოდა და მოიაზრება მექრთამეობა, გაფლანგვა, ქურდობა, გამოძალვა, დისკრეციის ბოროტად გამოყენება, ფავორტიზმი და ნეპოტიზმი, ინტერესთა კონფლიქტის გამოყენება ან შექმნა, არამართლზომიერი პოლიტიკური შემოწირულობები და ა. შ.

რეალობა ის გახლავთ, რომ თანამედროვე კორუფციას ქმნის ინსტიტუციური წახალისებები, მათ შორის, მთელი პოლიტიკური სისტემის ძირითადი სტრუქტურები, რომლებიც მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს, სამართალდამცავ და მარეგულირებელ ორგანოებს, მედიას და სამოქალაქო საზოგადოებას.

კორუფცია აფერხებს ზოგად განვითარებას და ასუსტებს თანამედროვე საზოგადოებებსაც, არყევს საზოგადოების რწმენას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. განსაკუთრებით ხელს უშლის გარდამავალი ქვეყნების პროგრესს სახელმწიფოს მშენებლობაში არსებული რესურსების გადამისამართებით. კორუფციული პრაქტიკით მიღებული რესურსები ხშირად გარდაიქმნება ეკონომიკურ და სოციალურ გავლენებად, რაც ასუსტებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და კორუფციის კიდევ უფრო ფართო გავრცელებას უწყობს ხელს.

უამრავი ფაქტით დასტურდება, რომ კორუფცია ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, პოლიტიკურ განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში, საჯარო სამსახურებთან ურთიერთობისას მილიონობით ადამიანი ყოველდღიურად ეჯახება კორუფციას. ბევრ ქვეყანაში ადმინისტრაციული კორუფცია მძიმე ტვირთად აწევს მოქალაქეებისა და კერძო კომპანიების დროსა და სხვა რესურსებს, იწვევს უკმაყოფილებას საჯარო სამსახურების მიმართ, ძირს უთხრის ამ ინსტიტუტებისადმი ნდობას და გზას უკეტავს ბიზნესის განვითარებას და ინვესტიციების ზრდას. უმეტესად, ყველაზე მეტად ზარალდება მოსახლეობის ღარიზი და დაუცველი ნაწილი. ხშირად ადმინისტრაციულ კორუფციას აღიქვამენ ენდემური ხასიათის მოვლენად, ადგილობრივი ტრადიციისა და კულტურის ნაყოფად და, ამდენად, გარდაუვლადაც. პოლიტიკური ლიდერები სარგებლობენ მოქალაქეთა ვითომდა შემწყნარებლური დამოკიდებულებით კორუფციისადმი და ამით ამართლებენ თავის უმოქმედობას. მსოფლიო გამოცდილება წარუმატებელი განუხორციელებელი რეფორმეზისა და მოლოდინის მრავალ მაგალითს გვთავაზობს.

კორუმპირებული ჩინოვნიკების მიერ ხდება ფინანსური სისტემის ათვისებაც. ტექნოლოგია, რა თქმა უნდა, ეხმარება მათ. ახლა ბევრად უფრო ადვილია ფულის სწრაფად გადატანა მთელს მსოფლიოში და ამის გასაიდუმლოება, ვიდრე 20-40 წლის წინ იყო.

Tinatin Chikaidze
Caucasus International University
Doctorate
Supervisor: Tamar Kiknadze,
Doctor of Political Science,
Associate Professor at
Caucasus international University

#### Manifestation of Corruption in World and Georgian Politics

Corruption is one of the most pressing and problematic issues in world politics. Such a topical political category includes the consideration of different terminological interpretations.

Despite numerous definitions of political corruption, there is no consensus regarding which actions are specifically considered to be corrupt and which are not.

Corruption affects not only government but also commercial structures and public organizations. Power and corruption have constantly been an integral part of each other, and the development of civilization, state, population took place with the development of corruption. Corruption has been and is considered to be bribery, embezzlement, theft, extortion, abuse of discretion, favoritism and nepotism, use or creation of conflicts of interest, unlawful political donations, and so on.

The reality is that modern corruption is driven by institutional incentives, including the basic structures of the entire political system, which are the legislature, the executive and the judiciary, the law enforcement and regulatory bodies, the media and civil society.

Corruption hinders both general development and weakens modern societies, undermining public confidence in state institutions. In particular, it hinders the progress of transition countries by diverting resources under state-building. Resources gained through corrupt practices are often transformed into economic and social influences, which weaken democratic institutions and contribute to the spread of corruption.

Numerous facts prove that corruption hinders the economic progress of the country, political development, raising the living standards of the population. Millions of people around the world, especially in developing countries, face corruption in their relationships with public services on a daily basis. In many countries, administrative corruption places a heavy burden on citizens and private companies in the time and other resources, causes dissatisfaction with public services, undermines trust in these institutions, and blocks the way for business development and investment growth. The poorest and most vulnerable parts of the population suffer the most. Administrative corruption is often perceived as an endemic event, a fruit of local tradition and culture and, thus, inevitable.

Political leaders take advantage of citizens' supposedly tolerant attitudes towards corruption and thus justify their inaction. World experience offers many examples of failed reforms and unfulfilled expectations. The financial system is also being exploited by

corrupt officials. Technology, of course, helps them. Now it is much easier than it was 20-40 years ago to move money fast around the world and keep it a secret.

**გიორგი გეგუჩაძე** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დოქტორანტი ხელმძღვანელი: **თამარ კიკნაძე** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### ღირებულებების დაპირისპირება მსოფლიოს უნიპოლარული მოწყობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის

მოხსენებაში განხილულია თანამედროვე პოლიტიკური ღირებულებები, მათი გავლენა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე. მეცნიერება ღირებულებების შესახებ - აქსიოლოგია, განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ღირებულებებს, რომლებიც კავშირშია იდეოლოგიასთან, ერებსა და ეთნიკურ-რელიგიურ ჯგუფსა და ინდივიდებს შორის ურთიერთობებთან. გამოკვლეულია მათი უფლებები საკუთარი ღირებულებების დაცვის კუთხით, ასევე სხვა ჯგუფების/ქვეყნების ღირებულებებისადმი პატივისცემით მოპყრობის აღნიშნული მნიშვნელობა ვალდებულებები. გამოკვლეულია საკითხეზის შიგნით, სტაბილურობის შესანარჩუნებლად როგორც ქვეყნების ისე საერთაშორისო ურთიერთობებში.

საერთაშორისო ურთიერთობებში ღირებულებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლევა მიზნად ისახავს ჩატარდეს ანალიზი, თუ როგორ ასახვას ჰპოვებს ღირებულებები ქვეყნის შიგნით, ისე სხვა ქვეყნების ღირებულებებთან დაკავშირებულ ინტერაქციაში. რამდენიმე კონკრეტული მაგალითის საფუძველზე, მოხდება იმის გაანალიზება, თუ რა გავლენას ახდენს ღირებულებები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ მიმდინარე დებატებში, როგორ ხდება მათი წარმოშობა, პოლიტიკურ ცვლილება და შემდგომი ასახვა გადაწყვეტილებებსა დიპლომატიურ ნაბიჯებში. კვლევა მიზნად ისახავს მოახდინოს ღირებულებების იდენტიფიცირება, შეჯერება და გარკვეული გზების მოძიება, რათა ღირებულებები სტაბილურობის და არა დაპირისპირების მუხტის შემომტანი იყოს როგორც საერთაშორისო ქვეყნის შიგნით, ისე ურთიერთობებში. ამავდროულად, ღირებულებები წარმოადგენს პოლიტიკური არ ერთადერთ ფაქტორს საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც ასევე განხილულ მთლიან იქნეზა კონტექსტში.

#### George Geguchadze

Caucasus International University

Doctorate

Supervisor: Tamar Kiknadze,

Doctor of Political Science, Professor

#### Conflict of values between proponents and opponents of unipolar world system

The report considers modern political values, their influence as domestically on country affairs, as well as internationally. As it is known, the discipline about values, named axiology, provides special role to the values related to ideology, relationships between nations and ethnic-religious groups and individuals. Their rights have been examined as in terms of protecting own values as well as responsibility of handling values of other groups/nations with due respect. These issues are being considered in light of their importance for maintaining domestic and international stability domestically and internationally.

Due to the importance of international relations, the research aims at conducting analysis what role domestic values play in interaction with other nations values. Few concrete examples will be brought to examine what influence particular values may have in debates regarding particular issues, how they emerge, change in time and subsequently translated into the political decisions and diplomacy development. The objective of the research is to identify, analyse and find particular ways how to make the issue of values to contribute to stability and not controversies in domestic and international relations. Simultaneously, it is being argued that political values do not represent the only factor in international relations, which shall be considered in the wider context.

მარიამ გულაშვილი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: **ზვიად ბარქაია,** ეკონომიკის მაგისტრი, ასოცირებული პროფესორი

ზოსნიის ომის როლი ამერიკის საგარეო პოლიტიკის განვითარეზაში 1995 წლიდან დღემდე

ბოსნიის ომი (1992-1995) ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი კონფლიქტია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მას განსაკუთრებული მნიშვნელობას აქვს დასავლური საზოგადოებისათვის რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ჰოლოკოსტის შემდეგ ყველაზე ცივსისხლიანი ეთნიკური წმენდა; მას შეეწირა დაახლოებით 100,000 ადამიანის სიცოცხლე და საკუთარი საცხოვრებელი

დატოვა ორ მილიონზე მეტმა ადამიანმა. მეორე მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) და დასავლურმა საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ შეძლეს ბოსნიის ომის დროულად ჩახშობა, რის გამოც გაეროს არაეფექტურ სტრუქტურასა და მუშაობას ხშირად აკრიტიკებენ. საბოლოოდ, ომში ჩარევის ნაზიჯი გვიან, მაგრამ მაინც გადადგა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოქმედება თავისი საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ისტორიაში, რადგან ბოსნიაში კლინტონის ადმინისტრაციის ინტერვენციამ, აქ დაშვებულმა შეცდომებმა თუ აშშ-ის სწორმა მოქმედებებმა ზეგავლენა მოახდინა მომავალ იდიდ ადმინისტრაციებზე - ჯორჯ ბუშზე, ერაყში ინტერვენციისას და ბარაკ ობამაზე, ინტერვენციისას. ფარგლებში შესწავლილია კვლევის გადაწყვეტილება ბოსნიის ომში ჩარევის შესახებ, მისი იმდროინდელი და დღევანდელი დამოკიდებულება აღნიშნული კონფლიქტის მიმართ. ამასთანავე, ნაშრომის ფარგლებში მიმოხილულია 1995 წელს მიღებული ამ გადაწყვეტილების გავლენა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე შემდგომ წლებში.

Mariam Gulashvili
Georgian Institute of Public Affairs
Bachelor
Supervisor: Zviad Barkaia
Master of Economics,
Associate Professor

# The Role of The Bosnian War in the Development of the Foreign Affairs of the United States Since 1995 Till Today.

The Bosnian War is one of the biggest conflicts since World War II and it is very important for Western society for several reasons. First, it can be said that since the Holocaust, this was the most brutal ethnic cleansing. Up to 100,000 people died and two million have fled their homes. Secondly, The United Nations and the international community were not able to timely terminate the conflict, because of which the United Nations is often criticized for its ineffectiveness. Finally, however, a little bit late, the United States stepped in. It can be said that this was one of the most important actions of the United States in its foreign policy's modern history. This is because the intervention of the Clinton administration in Bosnia, with its mistakes and correct steps, influenced the actions of the future administrations of George Bush, in the case of intervening in Iraq and Barak Obama's, intervening in Libya. In the research, I will look into the decision-making process of the United States in the Bosnian War; its attitude towards the conflict then and now. I will also review the influence of the decision made in 1995 by the United States on the following years.

გურამ ლილუაშვილი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: **ქეთევან შოშიაშვილი** ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# დეზინფორმაცია, როგორც სახელმწიფოების წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის ინსტიტუტი."

დღევანდელ რეალობაში,ომის წარმოების კონცეფცია მნიშვნელოვანად შეიცვალა. აშკარაა,რომ თანამედროვე ეპოქაში საჭიროა ფლობდე ინფორმაციას განწყობებისა და დამოკიდებულებების აუდიტორიის თანამედროვე მსოფლიოში ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მოსახლეობის მართვა და მანიპულირება ხორციელდება ინფორმციული ომის მეშვეობით, რომლის მიზანიც რწმენისა და ღირებულებებით სისტემაზე გავლენის მოხდენა გახლავთ. დეფინიციის თვალსაზრისით, დეზინფორმაცია არასწორი ინფორმაციის გავრცელებაა, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით. ბუნებრივია,რომ დეზინფორმაცია არა თუ სასარგებლო, მომგებიან პოზიციაში ამყოფებს სახელმწიფოს, არამედ იგი სიმართლესთან შეუსაბამო, შეთხზული, მიზანმიმართული ტყუილია,რომელიც, ხშირ შემთხვევაში, წამქეზებლურ მასთან დაკავშირებულ სირთულეებთან პოლიტიკასა და ასოცირდება. პროპაგანდისტული ქმედებით მიღწეული შედეგები,რომლებსაც ფაშისტური გერმანიის პირობებში ვხედავთ- იოზეფ გებელსის მეშვეობით, იმპერიალისტური სისასტიკით დამუხტული, "ევგენი პრიმაკოვის დოქტრინით" გამოწვეული ერთი ერის სურვილები და დეზინფორმაციულ ნიაღვარში მოქცეული საქართველო კიდევ ერთხელ, გულღიად, გვამლევს იმის თქმის საშუალებას, რომ თანამედროვე სინამდვილისგან არეკლილი დღევანდელი ვითარება საგანგაშოა. სწორედ, ამიტომ შევაჩერე ყურადღება ზემოთ აღნიშნულ თემაზე და კვლევებიც, შესაბამისად, თანხვედრაშია ცრუ ინფორმაციის ასპექტებთან. აშკარაა, რომ დეზინფორმაციას სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და სწორედ ამიტომ გადამწყვეტ როლს ასრულებს ვირუსულად გავრცელებული ცრუ ინფორმაციების, ფოტო და ვიდეო მასალების ამოცნობა და მათი ავთენტურობის დადგენა.

#### Guram Liluashvili

Caucasus International University

Bachelor

Supervisor: Ketevan Shoshiashvili,

Doctor of History, Associate Professor

#### Disinformation as an institution of information warfare against states.

The concept of war production has changed significantly in today's reality. It is obvious that in the modern era it is necessary to have information about the moods and attitudes of the target audience. In the modern world, the population of one state is managed and manipulated by another through information warfare aimed at influencing the system through beliefs and values. By definition, misinformation is false information intended to mislead the public. It is natural that misinformation is not in the useful, profitable state of the state, but with the lies, the fabricated, deliberate lies, which are often associated with provocative policies and the difficulties associated with them we see the consequences of propaganda in fascist Germany - through Joseph Goebbels - with the imperialist brutality of the "Eugene Primakov Doctrine" where it is clearly visible. The wishes of one nation and the disinformation to Georgia. That is why I focused my attention on the above topic and the research coincides with the misinformation aspects. It is obvious that disinformation plays an important role in the downfall of state structures and that is why it is important to authenticate photo and video materials. To find out the truth, we need to use all the nuances that I will tell you in my conference.

ილია რურუა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრი

ხელმძღვანელი: **კონსტანტინე შუბითიძე** საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი მოწვეული პროფესორი

ნატო: სტაბილურობის გარანტი და არა დესტაბილიზაციის წყარო ევროპის კონტინენტზე

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი ომი დაიწყო. ინტერვენციის მასშტაბი შეიძლება ზოგისათვის გასაკვირი ყოფილიყო, თუმცა მოსკოვის აგრესიული ბუნება XXI საუკუნეშიც უკვე არაერთხელ გამოვლინდა. რუსულ მხარეს თუ დავუჯერებთ, ნატოს გაფართოება რუსეთის პროვოცირეზას ევროპაში ვითარების იწვევს და აღმოსავლეთ საერთაშორისო დესტაბილიზებას. თუმცა უნდა ითქვას, რომ არსებობენ ურთიერთობების სფეროს მოწინავე თეორეტიკოსები და მოაზროვნეებიც, რომლებიც ამ კონფლიქტებს ევროპის კონტინენტზე ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებითა და ამის შედეგად რუსეთის "შიშების გაღვივებით" ხსნიან.

საკითხი აქტუალურია, ვინაიდან ვითარების სიღრმისეულად გაანალიზების გარეშე შეუძლებელია უკრაინასა და საქართველოში კონფლიქტების მოგვარება და მომავალში მათი თავიდან აცილება. შესაბამისად, ჩემი საკვლევი კითხვაა - რა გავლენას ახდენს ნატოს გაფართოება ევროპის კონტინენტის სტაბილურობაზე?

პასუხის მისაღებად გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები. გაანალიზებულია საკითხის გარშემო არსებული მკვლევართა მოსაზრებები და ისტორიული ფაქტები.

Ilia Rurua
Ivane JavakhishviliTbilisi State University
Bachelor
Supervisor: Konstantine Shubitidze,
Doctorate in International Relations
Invited Professor

# NATO: a guarantor of stability and not a source of destabilization on the European continent

On February 24, 2022, Russia launched the largest war in Europe since World War II. The scale of the intervention may have come as a surprise to some, although Moscow's aggressive nature has been repeatedly exposed in the 21st century.

If we believe the Russian side, it is NATO enlargement, which provokes Russia and destabilizes the situation in Eastern Europe. However, it should be noted that there are leading theorists and thinkers in the field of international relations, who explain these conflicts by the expansion of NATO east of the European continent and, consequently, by "stirring up fears" of Russia. The issue is urgent, as it is impossible to resolve the conflicts in Ukraine and Georgia and avoid them in the future without an in-depth analysis of the situation.

Therefore, my research question is - what impact does NATO enlargement have on the stability of the European continent? I will use qualitative methods to get the answer. I will analyze the opinions of academics about this issue, as well as historical facts.

Leonardo Zanata
Corvinus University of Budapest
Doctoral
Supervisor: Zoltan Kelemen
PhD in International Relations and Political Science

# Russian security governance in the Southern Caucasus: A constructivist analysis of the role of strategic narratives in the development of the Kremlin's security practices

Looking at the Southern Caucasus through a constructivist magnifying glass, the proposed project will analyze the role that strategic narratives play in the development of the Russian security governance in this region. The link between discourse analysis and the main theories on security studies in the Southern Caucasus will be used to evaluate the influence of strategic narratives on Kremlin's policies. In order to identify the chronological framework, three turning points in the evolution and change of the practices and narratives of security governance in this area should be considered: a) the five-day war between Georgia and Russia in 2008 following the escalation of tensions in the breakaway regions of Abkhazia and South Ossetia, b) the four-day war in Nagorno-Karabakh in 2016 which ended with the mediation of Russia, and c) the new war in Nagorno-Karabakh in 2020, the Azerbaijani's victory, and the deployment of the Russian peacekeepers in the region. Following the identification of the crisis framework, the analysis will focus on actors, protagonists, narratives, and their interconnections with the regional security governance. This will allow both the historical reconstruction of the security practices at the above-mentioned turning points in terms of diplomacy, military activities, economic pressures, etc. as well as the analysis of the speech of the political leaders involved using both primary and secondary literary sources. The analysis will then address the role of Russia, its narrative strategy, and the interpretation and legitimization of its security practices both domestically and internationally. Considering the convergence between narrative practices, the Russian security policies, and their projection on the security governance of the Southern Caucasus, this project aims at explaining Kremlin's policies in the region. This attempt will be undertaken to elaborate on the latest security events in the region in light of the historical constants of Moscow's international projection as an Empire founded on a manifest destiny, on an ideology and a national myth that tend to establish geopolitical spaces at its borders. In the current study, the historical narrative projected onto the present formation of the geopolitical, historical, cultural, political and ideological basis of the Southern Caucasus meant as part of the Russian sphere of influence and the intimate link between a "speech" and such practices as military and political pressures or economic sanctions will be investigated.

მაკა ბასილიძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

#### გლობალიზაციის პროცესის გავლენა საქართველოზე ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში

გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში და გავლენას ახდენს მრავალი ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა ისე არის მოწყობილი, რომ ქვეყნებს თუ სურთ განვითარდნენ და გლობალური პოლიტიკის ნაწილი იყვნენ, მაშინ აუცილებლად უნდა ჩაერთონ გლობალიზაციის პროცესში. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო მნიშვნელოვანწილად არის ჩართული გლობალიზაციის პროცესში. საქართველოს, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ნაწილის როლი და ფუნქცია საკმაოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სატრანზიტო ფუნქციიდან გამომდინარე, გარკვეულწილად განსაზღვრავს მის უსაფრთხოების პოლიტიკასაც. სწორედ აქედან გამომდინარე, საქართველომ გლობალიზაციის პროცესის თანმიმდევრული პოლიტიკა უნდა გაატაროს, რაც არ ნიშნავს მისი, როგორც სახელმწიფოს როლისა თუ ფუნქციის დაკნინებას. საქართველომ უნდა განსაზღვროს საკუთარი ფუნქცია და დაიმკვიდროს თავისი ადგილი ევრაზიის გეოპოლიტიკურ სივრცეში, საერთაშორისო სისტემაში. შესაბამისად, თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესში ჩართვა სწორი და პრაგმატული პოლიტიკის გატარებით, რათა შენარჩუნდეს საქართველოს ინდივიდუალურობა მსოფლიოს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით.

Maka Basilidze,
Caucasus International University,
Bachelor
Supervisor: Alika Guchua
Doctor of Political Science,
Associate Professor

#### Impact of globalization on Georgia's economic security in a political context

The process of globalization in modern international relations plays an essential role and influences the domestic and foreign politics of many countries. With the way the system of international relations is arranged, if the countries want to develop and be a part of

global politics, they must get involved in the process of globalization. Georgia is significantly involved in the process of globalization after the restoration of independence. Georgia being part of the international political system means that it plays quite an important role because of its economic and transit function, which to some extent determines its security policy as well. That is why Georgia should pursue a consistent policy of globalization, which by no means indicates a diminished role or function of the state. Georgia must determine its own purpose and place in Eurasian geopolitics space, as well as in the modern international system. The strategic goal of Georgia is to be involved in the process of globalization by purposing the right and pragmatic policy so that Georgia's individuality can be preserved unlike other countries in the world.

Mariam Petriashvili
Caucasus International University
Master's degree
Supervisor: Vaxtang Kartvelishvili,
Master of Public Finance, Invited Profess

#### Control over the Circulation of Strategic Goods in Georgia

A popularity of new war theory in strategic studies, labeled as "hybrid war" is being determined by the importance of globalization effect on global security and contemporary international relations system. Hybrid war is primarily based on the ability to target distant objects and processes through nontraditional military means, particularly those critical to state and military functions. Accord to the definition is clear why the hacker attack and cyber-warfare taken place in 2016 November Presidential elections in the USA is to be making equal to clandestine declaration of wargame but not in conventional but in cyber level and scope. The war scenario in 21st century is very differs that of 20th and 19th centuries and truly reflects of effects of Airokratia geopolitics. The case of the meddling into the Presidential elections in the USA has determined how efficiently the political and non-political technologies developed and caused on shifting political balance and the completely political system and posing great stability to national security environment of the USA. Hence, the hybrid war scenario imposed by the incumbent Russian authority really made possible of New Cold War and the consequences of the war are not as evident and clear as it was in case of classical Cold War.

Key Words: hybrid war, USA, Airokratia, non-traditional military means, New Cold War.

მარიკა ნაკაშიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

#### ქალთა კვოტირების პროგრამა

სრული და ეფექტიანი მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში ქალთა განვითარების ერთ-ერთი სახელმწიფოს მდგრადი მთავარი პირობა, თანასწორობის, მშვიდობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების გარანტიაა. მიუხედავად იმისა, რომ გასული ათწლეულების განმავლობაში ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა სისტემურად მიმდინარეობდა, მათი არასათანადო წარმომადგენლობა პოლიტიკაში და მონაწილეობა სახელმწიფოს უმაღლეს არჩევით ორგანოებში, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, არაერთ სახელმწიფოში კვლავ გამოწვევად რჩება. იყო პერიოდი, როცა ქალებს არ ეძლეოდათ ამის საშუალება და სწორედ XIX ს-დან დაიწყო სუფრაჟისტული მოძრაობა, რასაც მოჰყვა საარჩევნო ხმის უფლების მოპოვება. ქალების აქტივობა პოლიტიკაში მამაკაცებთან შედარებით უფრო პასიურია. ქალთა კვოტირება არის ის მოცემულობა, რომელმაც ქალებს შესამლებლობა მისცა დაეცვათ და გაეთანაბრებინათ საკუთარი უფლებები და უზრუნველყოთ ის მოთხოვნები და სტანდარტები, რომლებიც რეალურად კანონის უზენაესობამ მიანიჭა. ქალთა კვოტირების საკითხი გარკვეულწილად დისკრიმინაციის კუთხით განიხილება, შესაბამისად, პოზიტიური დისკრიმინაცია არის დისკრიმინაცია, რომელსაც განხილავთ და უფრო ვრცლად წარმოგიდგენთ თემის გარშემო. ძალიან საინტერესოა საკითხია ქალთა კვოტირებასთან დაკავშირებული შეხედულებები და კანონის უზენაესობით დადგენილი შეფასებები. ნაშრომში განხილულია ქალთა კვოტირების მნიშნელობა, როგორც დისკრიმინაციულ, ასევე ქალთა უფლებების დაცვის ჭრილში. საუბარი იქნება კვოტირების მნიშვნელობაზე და როლზე, როგორც დადებითი, ასევე უარყოფით კუთხით.

Marika Nakashidze,
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Alika Guchua,
Doctor of Political Science,
Associate Professor

#### Women's quotas

The full and effective participation of women in political processes is one of the main conditions for the sustainable development of the state, a guarantee of equality, peace and

the strengthening of democratic institutions. Although the struggle for women's political rights has been systematic over the past decades, the underrepresentation of women in politics and their participation in the highest elected bodies of the state, both at the central and local levels, remains a problem in many states. There was a period when it was forbidden for women, and it was from the 19th century that the suffragette movement began, which led to the acquisition of suffrage. The activity of women in politics is more passive than the activity of men. Women's quotas are a given that gives women the opportunity to defend and equalize their rights, as well as meet the requirements and standards that the rule of law actually imposes. The issue of quotas for women is to some extent considered in terms of discrimination, so positive discrimination is the discrimination that you discuss and present in more detail on the topic. The views on women's quotas and estimates set by the rule of law are very interesting. The paper will discuss the importance of quotas for women both the importance of quotas for women both both the importance of quotas for women both in terms of discrimination and protection of women's rights. We will talk about the importance and role of quotas, both positive and negative.

მარიამ მიქიანი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრი
ლუკა ჩიტიანი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: კონსტანტინე შუბითიძე
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი,

#### რუსული დეზინფორმაციის გზავნილები: საქართველოს ნეიტრალური სტატუსი

კვლევაში შევეცადეთ გამოგვევლინა საქართველოს ნეიტრალური სტატუსის საკითხის გარშემო არსებული რუსული დეზინფორმაციის მთავარი მიზნები. კრემლი ცდილობს დასავლური გავლენისა და დემოკრატიზაციის პროცესის შეფერხებას პოსტსაბჭოთა სივრცეში, რის მისაღწევადაც დეზინფორმაცია ერთერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. უკრაინის ომი ადასტურებს, რომ დასავლური გავლენის შესაჩერებლად რუსეთი სრულმასშტაბიან ომსაც კი აწარმოებს. ზემოხსენებული ომის მიმდინარეობისას საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდა ნეიტრალიტეტის იდეა. მიგვაჩნია, რომ ხსენებული იდეის პოპულარობის ზრდა რუსეთის მიერ წარმოებული დეზინფორმაციული კამპანიის შედეგია. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის აქტუალურობა უდავოა.

საკვლევი შეკითხვა შემდეგნაირად არის ფორმულირებული: "რა ძირითადი მიზნები აქვს საქართველოს ნეიტრალური სტატუსის საკითხის გარშემო წარმოებულ რუსულ დეზინფორმაციულ კამპანიას?". კვლევის პროცესში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: კონტენტ ანალიზი; ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ანალიზი.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები მოიცავს კრემლის დეზინფორმაციის მეთოდების განსაზღვრას; დეზინფორმაციული კამპანიის მთავარი მიზნების იდენტიფიცირებასა და დეზინფორმაციის მთავარი წყაროების გამოაშკარავებას.

Mariam Mikiani,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
Luka Chitiani,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
Supervisor: Konstantine Shubitidze,
Doctorate in International Relations,
Associate Professor

#### Russian disinformation messages: neutral status of Georgia

The main goal of this presentation is to reveal the main aims of Russian disinformation surrounding Georgia's neutral status. The Kremlin has traditionally attempted to deter western influence and democratization in the post-soviet region. One of the main methods for this is the massive disinformation campaign. The war in Ukraine showed us that Russia is willing to go as far as full-fledged war, in order to achieve the aforementioned goal. During the Conflict, the idea of Georgia becoming a neutral nation became particularly popular. We consider this surge in popularity to be caused by the Russian disinformation campaign. Hence, the value of the research is undeniable. The question we aim to answer is formulated as such: "What are the aims of the Russian disinformation campaign around the neutral status of Georgia?" To do so, we will use the following research methods: Content analysis; literature review, and theoretical analysis. Expected outcomes of the research include determining the methods of Kremlin disinformation; finding the main goals of the campaign and revealing the main outlets of the said disinformation.

Nodar Bokeria
David Aghmashenebeli Univerisity of Georgia
Bachelor
Supervisor: Nugzar Rukhadze
Master degree in Diplomacy,
The invited professor

#### The United States: Ambivalent superpower and its role in Democracy

In this modern world democracy as a symbol of freedom and independence still cannot manage to imposed. In the 21 century there are diverse countries which can realize the importance of democracy and they are ready to protect it even the price will be disastrous: The United Kingdom, Norway, Iceland, Sweden, Canada, The United States and etc. This abstract encompass the analyze of different political articles and researches about ambivalent country United States who is the biggest worrior and supporter of democracy. In that article it would be discussed the role of America in defence of Democracy and liberty. This is a revision of may literature references. Is The United States really the homeland of democracy? who always strived for world order, as Nelson Mandela said "America threats of the world peace" because it intervened in every war indiscriminante of continent and country. Based on one of the most popular newspaper Global Times "United States ignoring the objective of its own shambolic democratic record ,instead attempts to use democracy as a pretext to wage war and as a cover for its numerous crimes". We can suppose, that their charges and accusations are not baseless and in some war America was really culprit. Let's take an example of Vietnam's hideous war during 1965-1976 wherever they used 7.5 million tons of bombs and caused massive number of casulities "LBJ, how many kids did you killed today". However, we have to turn our blind eyes to not to remark a great political depend of America which was announced during the inauguration of President John Kennedy "America have to endure every difficulties, display the support for everyone and commbat against evilness due to impose world order". Most of the war aimed to defeat socialism and imposed democracy. After the difficult wars in Korea, Vietnam, Iraq, Avfganistan they managed to uphold this valuable characters and as a result nowadays democracy is recognized by many modern countries. The modern era and modern America is completely different. As the American famous diplomat Henry Kissinger marked it is an epoch of "Nuclear age" and now we can see diverse countries who are owners of nuclear weapon, therefore every drastic step can cause world war 3 that's reason why America still prefer to uphold sit back position against the Russia Ukraine current war, they decided to advance in a very caustion ways and do not get directly involved in this war but it does not mean, that they will not persist their struggle to protect peace and democracy. To really on all above the mentioned, arguments, analyzes based on many political researches, we can truly say that this issue still remains as controversial one. By the research of Congressional Service America's values were, are and will be: bilateral relationships with allies and other countries, defense plans and programs, trade and international finance, foreign assistance, and human rights,

which are the part of democracy. These abstract includes critics and objective visions of political articles and researches, which were held for ages.

Salome Mamagulashvili
Caucasus International University
Master's degree
Supervisor: Alika Guchua,
Doctor of Political Science,
Associate Professor

#### Biological Terrorism as a New Dimension of CBRN Threats

Biological terrorism is using viruses, bacteria and other germs to cause panic and terror in people. Bioterrorism has a long history. First fact known to humankind occurred some 35 centuries ago. The threat became more feasible after some major breakthroughs made in the 19th century in the sphere of microbiology. These developments enabled scientists to easily isolate, produce, and stockpile specific pathogens. In the 20th century many countries started their biological weapons programs. Japan initiated its infamous unit 731 in 1932 whose aim was to create effective BW. To this end, many prisoners were inoculated or injected with organisms causing diseases such as smallpox, anthrax, bubonic plague, etc. Although using BW is a rarity, it still remains a threat that needs preparedness as unlike other terrorist attacks when you have immediate or almost immediate effects, biological terrorist attack may go undetected for many days making it immensely difficult to deal with. Keywords: Biological terrorism, anthrax, BW, pathogens.

სოფიო დემეტრაშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დოქტორანტი **ლაშა ბრეგვაძე** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დოქტორანტი ხელმძღვანელი: **თამარ კიკნაძე** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### გლობალიზაცია და ასიმეტრიული საფრთხეები

უსაფრთხოება განსაკუთრებით აქტუალურია გლობალიზაციის ეპოქაში, როცა ეკონომიზაცია, დემოკრატიზაცია, ინფორმატიზაცია განვითარებისათვის უპრეცედენტო შესაძლებლობებს ქმნის, მაგრამ ამავე დროს საერთაშორისო

ურთიერთობების სისტემას უფრო დაუცველს ხდის ისეთი გამოწვევებისათვის როგორიცაა ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება.

მსოფლიოში თანამედროვე პერიოდში არსებული გამოწვევეზის გეოპოლიტიკური პროცესების ფონზე ძალზე მნიშვნელოვანია ასიმეტრიული საფრთხეების შესწავლა. მსოფლიო აწყდება მრავალს გამოწვევას, რომელთა გადაწყვეტა ერთიანი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია. დღევანდელ რეალობაში არსებული ვითარებიდან და გეოპოლიტიკური ცვლიელებებიდან გამომდინარე, ნატოს როლი და ფუნქცია მსოფლიო უსაფრთხოების საკითხში მნიშვნელოვანია. ძირითად გამოწვევებად საფრთხეებად მიიჩნევა და აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მომდინარე სამხედრო, ტერორისტული, კიბერ და ჰიზრიდული საფრთხები. ნატო ცდილობს მის პარტნიორ ქვეყნებთან ერთად გაუმკლავდეს და ებრძოლოს XXI საუკუნის გამოწვევებსა და უსაფრთხოების პრობლემებს. ასიმეტრიული ომი XXI საუკუნეში ძალიან აქტუალური და მომცველი საფრთხის პრობლემაა გლობალური და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის. ზესახელმწიფოები და უდიდესი ალიანსები სხვადასხვა ხერხით ცდილობენ მზად იყვნენ ასიმეტრიული ომის გამოწვევებისთვის, განჭვრიტონ მომავალი საფრთხეები და პრევენციული ზომები ასიმეტრიული ომი თავის თავში გულისხმობს სხვადასხვა ტიპის საფრთხეს, როგორიც არის ტერორიზმი, ბირთვული იარაღი, მასობრივი განადგურების იარაღი, კიბერტერორიზმი დ ა. შ. ამ ჩამოთვლილთაგან უკვე ნათელია ის ფაქტი, რომ გლობალური უსაფრთხოება ეჭვქვეშ დგას. სანამ არსებობს ზემოაღნიშნული საფრთხეები, დედამიწაზე მშვიდობის დამყარება ძალზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ იქმნება მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც ჩართულნი არიან დიპლომატიურ შეთანხმებებსა და სამხედრო მოქმედებებში. ასიმეტრიული საფრთხე პირდაპირ კავშირშია გლობალურ უსაფრთხოებასთან, ვინაიდან თავის თავში იგი მოიაზრებს მოულოდნელ, დამანგრეველ დარტყმას სახელმწიფოს მიმართ. აღნიშნული საკითხი უფრო აქტუალური გახადა უკრაინაში დღეს მიმდინარე მოვლენებმა. შესაბამისად, მაქსიმალურად შევეცდებით გავაანალიზოთ წარმოგიდგინოთ და გლობალიზაციის პროცესი და ასიმეტრიული საფრთხეები მსოფლიოში.

Sofio Demetrashvili,
Caucasus International University
Doctorate
Lasha Bregvadze
Caucasus International University
Doctorate
Supervisor: Tamar Kiknadze
Doctor of Political Science,
professor

#### Globalization and asymmetric threats

Security is especially relevant in the era of globalization, when economization, democratization, informatization create unprecedented opportunities for development, but at the same time make the system of international relations more vulnerable to challenges such as terrorism, the use of weapons of mass destruction.

Problematic aspects of determining the criminal responsibility of a provocateur within the framework of Article 145 of the Criminal Code

- The concept and general characterization of provocation of crime a discussion of the institution in general, and its place in the criminal justice system
- Distinguish between the figure of the crime provocateur and the instigator
- · Crime provocation and operative-investigative measure comparison of these two completely different institutions and drawing a line
- The concept of lawful operative experiment Separation of crime provocation and lawful operative experiment
- •The issue of determining the criminal responsibility of a criminal provocateur and punishing him in case of an attempt to persuade him completely inappropriately
- The problem of "spiritual corruption" in the regulation of Article 145 of the Criminal Code. The issue of punishment in case of a completely unsuccessful attempt
- The issue of the responsibility of the provocateur of the crime in case of accomplishment of the completed stage of the crime by the person and the legislative gaps around the mentioned issue

ეკა ვარდიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრი

ხელმძღვანელი: **ნინო ქაშაკაშვილი** მოწვეული ლექტორი, ასისტენტ პროფესორი

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა საქართველოში

სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ოდითგანვე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. საქართველო მუდმივად დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ქრისტიანული და აღმოსავლური რელიგიების გზაჯვარედინზე იმყოფებოდა, მუდმივად რთულ და ცვალებად პოლიტიკურ ვითარებაში იყო, სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორ აისახებოდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ვითარება ეკლესიაზე და რა წვლილი შეიტანა ეკლესიამ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში.

ამის ნათელი მაგალითია ერეკლე მეორეს არჩევანი, როდესაც მაზდეან ირანს ქრისტიანი რუსეთი ამჯობინა და 1783 წელს ციხესიმაგრე გეორგიევსკში ხელი მოაწერა ,,სამეგობრო შეთანხმებას". ტრაქტატის მერვე მუხლი საქართველოს ეკლესიის საკითხებს ეხებოდა. ქართლის კათალიკოსის გათანაბრება რუსეთის სინოდის რიგით წევრთან, რა თქმა უნდა, მიგვანიშნებს რუსეთის რეალურ ინტერესებზე ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებით. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია რომ ქართული ეკლესია ვთქვათ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში ყოველთვის ეროვნული მთლიანობის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდგომ ხელისუფლებას და ეკლესიას შორის ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავიდა. ხელისუფლებამ ეკლესიას ძალა წაართვა. ეს იყო ის შემთხვევა, როდესაც საზოგადოებისა და ხელისუფლების რელიგიური ინტერესები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა.

1921 წლის კონსტიტუციამ განსაზღვრა, რომ ყველა ადამიანის უფლება იქნებოდა სარწმუნოებრივი კუთვნილებისა. მიუხედავად კონსტიტუციამ ურთიერთჩაურევლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპი დაადგინა. აგრეთვე, საქართველოს პირველ კონსტიტუციაში ეწერა, რომ არ შეიძლება ადამიანის დევნა სარწმუნოების გამო, თუმცა რეალობა სხვაგვარად გამოიყურეზოდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 1921 წლის კონსტიტუციამ საკმაოდ შეზღუდა ეკლესიის უფლებები. ხელისუფლება აიძულებდა ეკლესიას, რომ მის მიმართ ლოიალურად განწყობილი ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონით დასჯიდნენ. 1995 წლის კონსტიტუციამ კი რელიგიის თავისუფლება და რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის თანამედროვე პრინციპი აღიარა, რაც, თავის მხრივ, მოგვიანებით თანამშრომლობის სეკულარულ მოდელად ჩამოყალიბდა.

ვფიქრობ, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უპირატესობის მინიჭება, a priori გულისხმობს სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას. მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა საქართველოს კონსტიტუციით არის მოწესრიგებული. კონსტიტუციის შემდგომ განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს ენიჭება საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის "კონსტიტუციურ შეთანხმებას", რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2002 წელს დაადგინა.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომი დეტალურად განიხილავს საქართველოში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული ურთიერთობას. ნაშრომში წარმოდგენილ მეცნიერთა თუ იურისტთა ხედვებზე დაყრდნობით, სხვადასხვა ქევყნის პრაქტიკის გათვალისწინებით, სათანადო

არგუმენტაციისა და მაგალითების მეშვეობით შევეცდები ჩამოვაყალიბო ჩემეული ხედვა პრობლემური საკითხის მიმართ.

Eka vardiashvili Ivane Javakhishvili Tbilisi StUniversityisty Bachelor Supervisor: Nino Kashakashvili Invited lecturer, Assistant Professor

#### Church-state relations in Georgia

Church-state relations always have been important during the establishment of statehood. Georgia always has been at the juncture of west and east, Christian and eastern religions, it always was in a difficult and inconstant political position. That is why it is of utmost importance for Georgia how the particular political situations would have been reflected on the church and what is the contribution of the church in creating Georgia as a state.

One of the examples of this is the choice of Erekle 2nd when he chose Christian Russia over Zoroastrianism Iran and in 1783 in Georgievsk signed on friendly relations treaty. The 8th article of the treaty was covering matters concerning the Georgian church. Catholicos of Kartli was equaled to an ordinary member of the Russian synod; this was implying the real intentions of Russia over the Georgian church.

In 1921 after the Sovietization of Georgia, the relationship between the government and church went on a different stage. The government weakened the power of the church. This was an accident when the religious interests of the community and government were radically different from each other.

The 1921 Constitution stipulated that all human rights would be protected: regardless of religion. The Constitution established the principle of non-interference and independence. The first constitution of Georgia also stated that a person could not be persecuted for his religion, but the reality was different. It is also important to note that the 1921 Constitution severely restricted the rights of the Church. The authorities forced the church to be loyal to him; oththe erwise, lathe w would punish them. The 1995 Constitution recognized the contemporary principle of freedom of religion and the separation of religion and state, which in turn later became a secular model of cooperation.

I think giving preference to the Orthodox Church does not a priori imply discriminatory treatment of other religious associations. Especially when the Constitution of Georgia recognizes the freedom of religion and belief. The relationship between the Orthodox Church and the state is regulated by the Constitution of Georgia. After the Constitution, special importance is attached to the "Constitutional Agreement" between the State of

Georgia and the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia, established by the Parliament of Georgia in 2002.

Based on the views of scholars or lawyers presented in the paper, taking into account the practices of different countries, I will try to formulate my view on the problematic issue through appropriate arguments and examples.

ეკატერინე ფიფია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დოქტორანტი ხელმძღვანელი: **როინ მიგრიაული** სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

შპს-ის პარტნიორის უფლება-მოვალეობათა სისტემა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს ახალი კანონის მიხედვით

შპს-ის პარტნიორის სამართლებრივ სტატუსს ქმნის მისი უფლებამოვალეობების სისტემა, რომელიც შპს-ის მთელი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიზდა და აქვს საკუთარი ლოგიკა და სტრუქტურა. პარტნიორის უფლებამოვალეობები სამართლებრივი მოწესრიგების ფორმის მიხედვით იყოფა კანონით და წესდებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებად. "მეწარმეთა შესახებ" ახალი კანონით გაფართოვდა უფლება-მოვალეობების როგორც კანონით, ისე წესდებით მოწესრიგება. ამასთან, დაზუსტდა მათი რეალიზების პროცედურები. პარტნიორის სამართლებრივი უფლება-მოვალეობები ბუნების მიხედვით იყოფა სამეწარმეოსამართლებრივ სამოქალაქოსამართლებრივ უფლებადა მოვალეობებად. "მეწარმეთა შესახებ" ახალ კანონში გაფართოვდა შპს-ის პარტნიორის წილის გადასვლის (განკარგვა, დაკარგვა, შეძენა და ა.შ.) მოწესრიგება. პარტნიორის იურიდიულ ლიტერატურაში, ტრადიციულად, უფლებაკლასიფიცირდება მოვალეობები შინაარსის მიხედვით არაქონებრივ (მმართველობით) და ქონებრივ უფლება-მოვალეობებად. შინაარსის მიხედვით შესაძლებელია უფლება-მოვალეობათა უფრო დეტალური კლასიფიკაცია. ამის გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებულია შპს-ის პარტნიორის უპირობო უფლება-მოვალეობათა კლასიფიკაცია. პირობით და უფლებამოვალეობებად. ნაშრომში მითითებული საკლასიფიკაციო ყველა საფუძველზე "მეწარმეთა შესახებ" ახალი კანონის მიხედვით მოცემულია შპს-ის პარტნიორის უფლება-მოვალეობათა ზოგადი (სქემატური) დახასიათება.

#### Ekaterina Pipia

Caucasus International University

Doctoral

Supervisor: Roin Migriauli

Ph.D. in law, Associate Professor

# Rights and Duties of LLC Shareholders According to the New Law of Georgia on **Entrepreneurs**

The legal status of an LLC shareholder is created by the system of rights and duties of a shareholder, which has been established throughout the whole history of the LLC and has its logic and structure. The rights and duties of a shareholder are divided according to the form of legal regulation into the rights and duties determined by the law and the charter. The new Law on Entrepreneurs expands the regulation of rights and duties under both the law and the charter. At the same time, the procedures for realization thereof were specified. The rights and duties of a shareholder are divided into entrepreneurial and civil rights and duties according to their legal nature. The new Law on Entrepreneurs has expanded to regulate the transfer (disposition, loss, acquisition, etc.) of a shareholder's LLC share. In the legal literature, traditionally, the rights and duties of a shareholder are classified according to their content as non-property (governance) and property rights. According to the content, a more detailed classification of rights and duties is possible. In addition, the scientific literature proposes the classification of the rights and duties of an LLC shareholder as unconditional and conditional rights and duties. Based on all classification signs mentioned in the paper, according to the new Law on Entrepreneurs, a general (schematic) description of the rights and duties of an LLC shareholder is provided.

> ელიზაბედ აფაქიძე ანა ჩხეიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრები ხელმძღვანელი: **სალომე სიგუა** სამართლის დოქტორი, ასისტენტი

სამსახურიდან გათავისუფლება საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის საფუძველზე

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია სამსახურიდან გათავისუფლება საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის საფუძველზე, რომლის ანალიზის დროსაც შევეხებით საკანონმდებლო რეგულირებას როგორც 1997 წლის კანონის, ისე თანამედროვე კანონის მიხედვით. გარდა ამისა, განხილული იქნება რეორგანიზაციის მიზანი, არსი და ცნება და წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებული იქნება, თუ რომელი ცვლილება უნდა განიხილებოდეს რეორგანიზაციად, რა მახასიათებლები აქვს მას და რა არის საჭირო იმისათვის, რომ სამსახურის სტრუქტურის ცვლილება რეორგანიზაციად შეფასდეს. ასევე, ნაშრომში განხილული იქნება, როგორ ხდეგა კადრების გათავისუფლება თუ რეორგანიზაციის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის მიხედვით. განსაკუთრებული აქცენტი იქნება გაკეთებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებასა და მის ძირითად არსზე, ასევე გათავისუფლეზისას მოხელის შერჩევის უკეთესის/საუკეთესოს პრინციპზე და რეორგანიზაციისას ორსული მოხელის გათავისუფლების საკითხზე, რომლის ფარგლებში გაანალიზდება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

Elizabeth Apakidze
Ana Chkeidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelors
Supervisor: Salome Sigua
Doctor of Law, Assistant

#### Dismissal based on the reorganization of a public institution

The paper will discuss and analyze dismissal based on the reorganization of a public institution, during the analysis of which we will refer to the legislative regulation according to both the 1997 law and the modern law. In addition, the purpose, essence, and concept of the reorganization will be discussed and the presented paper will analyze which change should be considered as a reorganization, what are its characteristics, and what is needed to evaluate the change in the structure of the service as a reorganization. Also, the paper will discuss how to dismiss staff based on reorganization according to the legislation and practice of Georgia. Special emphasis will be placed on the definition of the Supreme Court of Georgia and its main essence, as well as on the principle of better / better selection of an officer during dismissal and the issue of dismissal of a pregnant officer during reorganization, within which the Supreme Court decision will be analyzed.

ირაკლი ლეონიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრი
გიორგი ჩიკვილაძე
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
მაგისტრი
ხელმძღვანელი: თამარ ზოიძე
სამართლის დოქტორი,

# სასამართლოს უფლებამოსილების კრიტიკა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში

საქართველოს კანონი "არბიტრაჟის შესახებ" სარჩელის უზრუნველყოფის ითვალისწინებს როგორც საკითხებში არბიტრაჟის, ისე სასამართლოს უფლებამოსილებას. განსახილველი საკითხი ორ განმხილველ ორგანოს შორის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის უფლებამოსილებათა გადანაწილებასა და მათ მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკას შეეხება. კვლევის მიზანია სასამართლოს უფლებამოსილების კრიტიკა სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, დადგენა იმისა ხომ არ ცვლის აღნიშნული უფლებამოსილება ამ კანონის მოქმედების სფეროს და ზღუდავს თუ არა იგი მხარეთა უფლებებს, შემდგომში არის თუ არა იგი არზიტრაჟისთვის საკითხის არიდეზის მცდელობა მაშინ, როდესაც შედეგს მხარეები განსხვავებული ინტერესით მოიაზრებენ და ფიქრობენ, რომ სასამართლოს შესაძლო უარი მხარეს შეუზღუდავს იმავე მოთხოვნით არბიტრაჟისთვის მიმართვის შესაძლებლობას. ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორც წესი, არ შეიძლება პირდაპირ აღსრულდეს სასამართლოს მიერ ცნობა-აღსრულების გარეშე და იგი სასამართლო კონტროლს ექვემდებარება. მეორე მხრივ, 23-ე მუხლის პირველი პუნქტით უფლებამოსილი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისმიების გამოყენების შესახებ. ამიტომ, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებისას მხარეთა დამცავი მექანიზმი შესაძლოა საერთო კანონისმიერი ჩანაწერით ჩამოყალიბდეს ორივე ნორმასთან მიმართებით.

#### Irakli Leonidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Master's degree
Giorgi Chikviladze
Sulkhan-Saba Orbeliani University

Master's degree Supervisor: Tamar Zoidze

Doctor of Law, Associate Professor

#### Criticism of the Court-ordered Interim Measures

The Law of Georgia on Arbitration regulates the usage of interim measures, which determines the possibilities of an arbitral tribunal to grant interim measures and court-ordered interim measures. This means, that any party may request an arbitral tribunal or court. The research aims to criticize court-ordered interim measures, to determine whether that jurisdiction changes the scope of this law and whether it restricts the rights of the parties, and whether it is an attempt to avoid arbitration when the parties have different interests. The possible refusal of the court will limit the possibility of appealing to arbitration with the same request. Use of interim measures under the first paragraph of Article 17 of this Law, as a rule, cannot be directly enforced by a court without notice and it is subject to judicial control. On the other hand, the court empowered by the first paragraph of Article 23 decides on the application of the interim measures. Therefore, when using interim measures, an important mechanism for the parties may be established by a common legal record about both norms.

ლევან ბესელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დოქტორანტი ხელმძღვანელი: მარინე კვაჭაძე სამართლის დოქტორი, პროფესორი

საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლების შეზღუდვისა და შეჩერების კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციაში

საქართველოს კონსტიტუციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული დებულებები, რომლის დროსაც საქართველოს პრეზიდენტს უფლება ეძლევა დეკრეტით შეზღუდოს ან შეაჩეროს ადამიანის უფლებები. პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტი ადამიანის უფლების შეზღუდვის შესახებ ძალაში შედის გამოცემისთანავე, ხოლო ნორმის შეჩერების შესახებ პარლამენტის დამტკიცებისთანავე. ორივე შემთხვევა ადამიანის უფლებაში უხეში ჩარევაა. ამ დებულებებზე ყურადღების გამახვილება საგანგებო მდგომარეობის დროს არ არის შემთხვევითი, რადგან ამ დროს არა მხოლოდ ხდება

გადახვევა ადამიანის უფლებებიდან, არამედ ის შესაძლებელია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური მიზნებისთვის, რასაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანის უფლებებში საჭიროზე მეტი ჩარევა. გარდა ამისა, საგანგებო მდგომარეობა ისედაც არის უკვე კრიზისული მდგომარეობა, ადამიანის უფლებებში საჭიროზე მეტად ჩარევამ კი შესაძლებელია ხელი შეუწყოს უფრო მეტი კრიზისების შექმნას. ასეთ ვითარებაში ადამიანის უფლებების დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კონსტიტუციაში არსებული ყველა დებულება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით გავლენას ახდენს მთლიანად კონსტიტუციურ წესრიგზე, ამიტომ კვლევის მიზანია ამ ორი ნორმის მოქმედების კონსტიტუციურობის შეფასეზის საკითხი, როგორც ეროვნული ასევე საერთაშორისო სამართლის კუთხით. კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანის უფლებათა შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართალი, რაც შეეხება ადამიანის უფლების შეჩერებას, ის ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა არსს, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ზოგადად, კონსტიტუციურ წესრიგს, ამიტომ ნორმის შეჩერების მექანიზმი ნიშნავს ადამიანის უფლების სრულ გაუქმებას, ის ცალსახად არაკონსტიტუციურია და უნდა გაუქმდეს. ადამიანის უფლების გაუქმება შეუძლებელია, რამეთუ ის ბუნებითი უფლებებია, ადამიანს დაბადებიდან თან დაჰყვება, მას ეს უფლებები იმიტომ აქვს რომ ადამიანია, ამიტომ სახელმწიფო მას არ ანიჭებს, სახელმწიფოს მხოლოდ შეუძლია ცნოს და აღიაროს იგი. ამ უფლებათა გარეშე ადამიანი ვერ იქნება სახელმწიფოს არსებობის მიზანი.

#### Levan Beselia

Caucasus International University
Doctoral
Supervisor: Marine Kvachadze

Doctor of Law, Professor

# The issue of the constitutionality of the restriction and suspension of human rights during a state of emergency in the Constitution of Georgia

One of the most important issues in the Constitution of Georgia is the provisions related to the state of emergency, during which the President of Georgia has the right to restrict or suspend human rights by decree. The decree issued by the President on the restriction of human rights enters into force upon its issuance, and on the suspension of the norm as soon as it is approved by Parliament. Both cases are gross interference with human rights. Focusing on these provisions during a state of emergency is not accidental, as it not only deviates from human rights at this time but can also be used by the executive for political purposes, which could lead to more interference with human rights than necessary. In addition, the state of emergency is already in crisis, and more interference with human rights than is necessary could contribute to more crises. In such a situation, the protection of human rights is crucial. All the provisions of the Constitution regarding human rights

affect the constitutional order as a whole, so the study aims to assess the constitutionality of the validity of these two forms, both in terms of national and international law. Research has shown that restrictions on human rights are permissible under national law and international law. As for the suspension of human rights, it is contrary to the essence of human rights, the rule of law, and the constitutional order in general. Human rights cannot be abolished because they are natural rights, human beings are born with them, and they have these rights because they are human beings, so the state does not grant them, the state can only recognize and acknowledge them. Without these rights, man cannot be the goal of the existence of the state.

#### მარიამ მახვილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრი

ხელმძღვანელი: **კახი სამხარაძე** სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი, ასისტენტი

გარემოს ზემოქმედება ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობაზე: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი გარემოს პირისპირ

ყველა ადამიანი დამოკიდებულია გარემოზე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. უმნიშვნელოვანესია ადამიანის და  $\chi$ s $\delta$ bs $\delta$ c გარემო უფლებებით სარგებლობისთვის, მათ შორის, სიცოცხლის, ჯანმრთელობის უფლებისთვის. სტრასბურგის სასამართლო საერთაშორისო მართლმსაჯულების/საერთაშორისო სამართლის სისტემაში წარმოადგენს ფორუმს, რომელზეც ადამიანის უფლებების გავლით ინდივიდებსა და სახელმწიფოებს შესაძლებლობა აქვთ დაიცვან, ერთი მხრივ, ადამიანების უფლებები და მეორე მხრივ, გარემო კონვენციის მუხლების სავარაუდო დარღვევებზე მითითების გზით. მოცემული ნაშრომის ფარგლებში განხილულია სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკა სათაურში მითითებული უფლებისა და გარემოს ირგვლივ. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს გარემოსა და მე-8 მუხლის კავშირი - ზემოქმედება ადამიანის კეთილდღეობაზე, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობაზე და ვალდებულებები, რომლებსაც განსაზღვრავს სტრასბურგის სასამართლო სახელმწიფოებისათვის. სასამართლო პრაქტიკის გვერდით წარმოდგენილია საკითხთან რელევანტური დოქტრინალური მოსაზრებები, რომლებიც ამტკიცებს, რომ თანამედროვე სამყაროში გარემოსდაცვითი ადამიანის პრობლემების ფონზე უფლებების უზრუნველყოფის/დაცვის საკითხი რთულდება. ამ პროცესის თავიდან აცილებისთვის კი მთავარი ნაბიჯები სახელმწიფოებმა უნდა გადადგან.

#### Mariam Makhviladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Bachelor

Supervisor: Kakhi Smkharadze Master in Law, Doctorant, Invited Lecturer at TSU. Assistant

The Effect of Environment on the Right to Respect for Private and Family Life:

Environment

v. Article 8

"All human beings depend on the environment in which we live. A safe, clean, healthy, and sustainable environment is integral to the full enjoyment of a wide range of human rights, including the rights to life, health, food, water, and sanitation". In the system of the international judiciary/international law, the European Court of Human Rights (hereinafter, ECtHR) is the forum in which individuals/states have the opportunity to protect the human rights as well as the environment through human rights law by invoking the relevant articles of the European Convention on Human Rights (hereinafter, ECHR). In the paper, the author analyses the case-law of the ECtHR in the light of Article 8 of ECHR and the environment – the effect of it on the well-being of humans – and outlines the obligations defined by the ECtHR for the states. Apart from the aforementioned, the paper presents the opinions from the doctrine, which reaffirm that in today's world environmental problems have devastating effects on the enjoyment of human rights. It must be noted that the governments are one of the most important actors, which should take preventive measures to avoid potential harm to the human beings and future generations.

მარინე მგელაძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: გიორგი ხატიძე სამართლის დოქტორი, პროფესორი

ოფშორული ნავთობისა და გაზის მომპოვებელი მცურავი დანადგარების საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი და მათი ოპერირების მომწესრიგებელი რეგულაციები

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ოფშორული ნავთობისა და გაზის მომპოვებელი დანადგარების საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი და მათი ოპერირების მარეგულირებელი ნორმები. მცურავი ნავთობისა და გაზის დანადგარები ოფშორული ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის მირითადი ინფრასტრუქტურული

ოზიექტეზია. მათი მობილურობის გამო, ასეთი დანადგარები შეიძლება გამოყენებულ იქნას არაერთხელ; დღეს მათ შეუძლიათ უზრუნველყონ ოფშორული საზადოების განვითარების სრული ციკლი - ნავთობპროდუქტების ძებნა, წარმოება, შენახვა და გადაზიდვა. იმავდროულად, მცურავი დანადგარების ასეთი ფართო ფუნქციონირება ართულებს მათი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას. 1982 წლის გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციის მნიშვნელობით, ნავთობისა და გაზის მცურავი დანადგარების საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი გაურკვეველია. გაურკვევლობა აიხსნება ამ კატეგორიის საზღვაო ობიექტების დუალისტური ბუნებით. ერთი მხრივ, მცურავი დანადგარები არის "ინსტალაციები" ზღვის ფსკერის რესურსების კვლევის ან ექსპლუატაციის დროს, ხოლო მეორე მხრივ, ისინი მიეკუთვნება "გემების" კატეგორიას ნაოსნობისას. მცურავი დანადგარების მინიჭება ამა თუ იმ კატეგორიაზე მნიშვნელოვანია, რადგან ის განსაზღვრავს იურისდიქციის არჩევანს, გავლენას ახდენს საზღვაო სამართლის პრინციპების გამოყენებაზე და საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებზე. სტატიის მიზანია გააანალიზოს საერთაშორისო სამართლის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს ნავთობისა და გაზის მცურავი დანადგარების შეაფასოს საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსს, მათი ოპტიმალურობა თანამედროვე პრაქტიკისთვის და დაასაზუთოს წინადადებები გაუმჯობესებისთვის. ამ მიზნების მისაღწევად, ნაშრომი ასახავს დებულებების შემუშავებას ნავთობისა და გაზის მცურავი დანადგარების საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციების რეჟიმების კონტექსტში 1958 წლის საზღვაო სამართლის შესახებ და გაეროს კანონის კონვენციის შესახებ. ნაშრომი ეხება კონვენციების ჯგუფებს, რომლის მიხედვითაც მცურავი და ფიქსირებული დანადგარები იდენტიფიცირებულია გემებთან; ექსკლუზიურად დანადგარები კლასიფიცირდება როგორც გემები; მცურავი ფიქსირებული დანადგარები მიეკუთვნება სპეციალურ იურიდიულ კატეგორიას; მცურავი დანადგარები კლასიფიცირდება როგორც "გემები" ნავიგაციისას და როგორც "ინსტალაციები" საბადოების შესწავლისა და განვითარების დროს (დუალისტური მიდგომა). ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ მიუღებელია ნავთობისა და გაზის მცურავი დანადგარების სტატუსის განსაზღვრის მიდგომების დიფერენცირება საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების სხვადასხვა მიზნისა და ამოცანისთვის. დიფერენციაციის პროზლემის გადაჭრის სახით დუალისტური მიდგომის დასაბუთებულია ცნების უნიფიცირების მიზანშეწონილობა, გამოიკვეთება მისი გაუმჯობესების გზები, კეთდება რეკომენდაციები ერთიანი დუალისტური მიდგომის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების სისტემაში ინტეგრირებისთვის.

#### Marine Mgeladze

Caucasus International University

Bachelor

Supervisor: George Khatidze

Ph.D. of law Professor

# The international legal status of offshore oil and gas drilling rigs and regulations governing their operation

The paper aims to present the international legal status of offshore oil and gas extraction equipment and the norms regulating their operation. Floating oil and gas installations are the key infrastructure facilities of the offshore oil and gas industry. Due to their mobility, such installations can be used repeatedly; today they can provide a full cycle of offshore field development - exploration, production, storage, and shipment of petroleum products. Meanwhile, such a wide functionality of floating installations makes it difficult to determine their international legal status. Within the meaning of the 1982 UN Convention on the Law of the Sea, the international legal status of floating oil and gas installations is unclear. The uncertainty is explained by the dualistic nature of this category of marine objects. On the one hand, floating installations are "installations" when conducting exploration or exploitation of seabed resources, and on the other hand, they fall under the category of "vessels" when navigating. The assignment of floating installations to one category or another is important, since it determines the choice of jurisdiction, and affects the applicability of the principles of the law of the sea and the requirements of international treaties. The purpose of the article is to analyze the provisions of international law that determine the international legal status of floating oil and gas installations, assess their optimality for modern practice, and substantiate proposals for their improvement. To achieve these goals, the article traces the development of provisions on the international legal status of floating oil and gas installations in the context of the regimes of the Geneva Conventions on the Law of the Sea of 1958 and the UN Convention on the Law of the Sea of 1982 and also compares approaches to determining the status of floating installations for the purposes and objectives of various conventions applicable to certain aspects of their operation. The article deals with groups of conventions, according to which floating and fixed installations are identified with ships; exclusively floating installations are categorized as ships; floating and fixed installations are allocated to a special legal category; floating installations are classified as "vessels" when navigating, and as "installations" at the time of exploration and development of deposits (dualistic approach). The author concludes that it is unacceptable to have different approaches to determining the status of floating oil and gas installations for various purposes and tasks of international legal regulation. As a solution to the problem of differentiation, the expediency of unifying the concept of the dualistic approach is substantiated, ways of its improvement are outlined, and recommendations are made for integrating the unified dualistic approach into the system of international legal regulation.

მერი კეთილაძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დოქტორანტი ხელმძღვანელი: **როინ მიგრიაული** სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# რეგულირებული შეთანხმება როგორც მოვალის ეკონომიკური კრიზისის დამლევის საუკეთესო საშუალება

ნაშრომი ეხება რეგულირებულ შეთანხმებას, რომელიც წარმოადგენს მოვალის ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საუკეთესო საშუალებას. თემის მიზანია ნაშრომში რეგულირებული შეთანხმების გამოკვლევა. შესწავლილი წარმოდგენილია ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ ინსტიტუტთან. თემით დაინტერესება განაპირობა ხსენებული საკითხის გამოჩენამ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. აღნიშნული ინსტიტუტი ჩვენი კანონმდებლობისათვის აქამდე ცნობილი არ იყო. მისი შემოღება განაპირობა არსებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ. კერმოდ, 2020 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა "რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" კანონმა გაითვალისწინა იგი. ვფიქრობ, საკითხი ყველასთვის საინტერესო იქნება, რადგანაც ფართო საზოგადოებისთვის ჯერ არ არის ცნობილი სიახლეები, რომლებიც რეგულირებულ შეთანხმებასთან არის დაკავშირებული. ვალაუვალობის სამართალში რეგულირებული შეთანხმება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მივიჩნიოთ. შეიძლება ინსტიტუტად კრედიტორებსა მოვალეს შორის არსებულ ინტერესებს და მოაგვარებს შეთანხმებით, სასამართლოს გვერდის ავლით.

Meri Ketiladze

Caucasus International University

Doctoral

Supervisor: Roin Migriauli

Ph.D. Ph.D.law Associate Professor

## A regulated agreement is the best way to overcome the debtor's economic crisis

The paper deals with a regulated agreement, which is the best way to overcome the debtor's economic crisis. The purpose of the topic is to examine the regulated agreement. In this article, I showed my studies and presented the important issues related to this institution. The interest in this topic was caused by the appearance of the mentioned issue in the Georgian legislative space. This institution was not known to our legislation until now. Its introduction was conditioned by the existing legislative change. In particular, the Law on

Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditor's claims adopted by the Parliament of Georgia in 2020 took it into account. I think the issue will be interesting for the audience, because the news, which is related to a regulated agreement, is not yet known to the public. A regulated agreement can be considered, as one of the most important institutions in the law of Insolvency It will settle the interests between the creditors and the debtor by agreement bypassing the court.

ნანუკა რუხაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: **გვანცა ხასია** სამართლის დოქტორანტი, ასისტენტ პროფესორი

პირგასამტეხლოს შემცირეზის ინსტიტუტი და მისი პრობლემური ხასიათი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

მოთხოვნის უზრუნველყოფის პირგასამტეხლო, როგორც დამატებითი საშუალება, ვალდებულებითი სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია. სამოქალაქო ხელშეკრულებების დადების სამართლებრივი დროს მხარეები თანხმდებიან მის ოდენობაზე და ამით ვალდებულების შესრულების ერთგვარ გარანტს ქმნიან. სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია ხელშეკრულების თავისუფლება, მაშასადამე, მხარეებს ამ ინსტიტუტის გამოყენეზისას აქვთ ფუფუნეზა საკუთარი ინტერესეზის შესაზამისად იმოქმედონ და ყოველგვარი ჩარევების გარეშე დაადგინონ პირგასამტეხლოს ოდენობა, თუმცა პრობლემას წარმოადგენს სწორედ ის ფაქტი, რომ დამკვიდრებული ქართული სასამართლო პრაქტიკა სერიოზულ ზიანს აყენებს და აუფასურებს როგორც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, ასევე თავად პირგასამტეხლოს სამართლებრივ შინაარს. ამით კი ხშირად მხარეებს ადგებათ ზიანი. ცალსახაა, რომ თითქმის ყველა საქმეზე სასამართლო მსჯელობს მხარეთა მიერ ავტონომიურად განსაზღვრული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ბუნებაზე და საგრმნობლად დიდი ოდენობით ამცირებს მას  $(10-\chi_1)$ რ,  $3-\chi_1$ რ,  $4-\chi_1$ რ და ა.შ). სამწუხაროდ, მოსამართლეები მოცემულ საკითხზე ხშირად არგუმენტაციის გარეშე იღებენ გადაწყვეტილებას. ფაქტია, ეს სერიოზულ ბზარს აჩენს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. სწორედ ამ ხარვეზების დანახვასა და გაანალიზებას ისახავს მიზნად მოცემული ნაშრომი. აღსანიშნავია, მოსამართლეები ამცირებენ არათუ მაღალ, არამედ "შეუსაზამოდ მაღალ" პირგასამტეხლოს. შეუძლებელია ზუსტი პასუხის გაცემა კითვაზე, თუ როგორი უნდა იყოს და კონკრეტულად რა სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს მოცემული ცნება და ესეც გარკვეულწილად წარმოადგენს პრობლემას. სწორედ ამიტომ

მოცემულ ტექსტში შეფასებული იქნება მოსამართლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება. გარდა აღნიშნულისა, მკითხველი გაეცნობა ინფორმაციას პირგასამტეხლოს ცნების შესახებ და უფრო ღრმად გააანალიზებს პირგასამტეხლოსა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთა ურთიერთმიმართებას. საუბარი იქნება აგრეთვე მხარეთა სამართლებრივი სტატუსის არსებით ასპექტებსა და მწიშვნელობაზე. ასევე სხვადასხვა კუთხით განხილულ იქნება უცხო სახელმწიფოთა პრაქტიკა.

Nanuka Rukhadze
Tbilisi State University
Bachelor
Supervisor: Gvantsa Khasia
Law doctor, Assistant Professor

#### The institute of fine reduction and its problematic nature in Georgian court practice

Penalty as an additional means of securing a claim is an important part of the law of obligation. In concluding civil contracts, the parties often agree on the amount and thus create a kind of guarantee of fulfillment of the obligation. One of the fundamental principles of civil law – is freedom of contract, therefore, When using this institution, the parties have the luxury of acting in their interests and setting the amount of the fine without any interference, although the problem is that the established case law seriously damages and undermines both the principle of freedom of contract and the legal nature of the fine itself. This often causes damage to the parties. It is clear that in almost all cases the court considers the inconsistently high nature of the fines autonomously determined by the parties and significantly reduces it (10 times 3 times 4 times, etc.). Unfortunately, Georgian judges often make decisions on this issue without proper reasoning. This is a serious crack in Georgian court practice. This paper aims to see and analyze these shortcomings. It should be noted that judges reduce not only high but also "inappropriately high" fines. It is impossible to give a true answer to the question of what it should be and specifically what standards a given concept should meet, and this is also somewhat of a problem. That is why this text will evaluate the various decisions made by judges. In addition to the above, the reader will learn about the concept of fines and will analyze in more depth the relationship between the principles of fines and freedom of contract. The substantive aspects and significance of the legal status of the parties will also be discussed. The practice of foreign states will also be discussed from different angles.

#### ნანული შაკინოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრი

ხელმძღვანელი: ნათია ჩიტაშვილი სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# მიუკერმოებლობისა და ნეიტრალობის პრინციპთა არსობრივ-პროცესუალური შინაარსი მედიაციის პროცესში

სტატიაში განხილულია მედიაციის ფუნდამენტური პრინციპეზის მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის შინაარსი და მათი მოქმედების ფარგლები. ნაშრომში მედიაცია წარმოდგენილია, როგორც ნდობაზე დაფუძნებული პროცესი, ნეიტრალობისა მიმოხილულია არსობრივი კავშირი მედიატორის მოთხოვნებთან, მიუკერმოებლობის აგრეთვე, მიმართება არსებობს მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის პრინციპთა შორის, რა მახასიათებლებით წარმოდგება მედიატორი, რომელიც აღნიშნულ პრინციპთა ფარგლებში მოქმედებს. წარმოდგენილია პრინციპთა შინაარსი ევროპისა და აშშ-ის მოდელური აქტებისა და ცალკეული ქვეყნის/შტატის ეთიკის კოდექსის მაგალითი, აგრეთვე მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსისა და გერმანული სამართლის მოდელი. კვლევა დაფუმნებულია მათ შორის საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსზე. მნიშვნელოვანი ეთმობა ნეიტრალობის სტატიაში აგრეთვე ადგილი ვალდებულების პროცესუალურ გამოვლინებას.

#### Nanuli Shakinovi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Bachelor

Supervisor: Natia Chitashvili

Doctor of Law Associate Professor

# The substantive-procedural content of the principles of impartiality and neutrality in the mediation process

The article discusses the content of the fundamental principles of mediation - impartiality and neutrality and their scope. The paper presents mediation as a trust-based process and examines the essential connection with the mediator's requirements for neutrality and impartiality, as well as the relationship between the principles of impartiality and neutrality, and the characteristics of a mediator operating within these principles. And an example of a country/state code of ethics, as well as a model of the European Code of Conduct for Mediators and German law. The study is based on the Code of Ethics of Georgian Mediators and discusses impartiality. The article also focuses on the procedural manifestation of the obligation of neutrality.

ნინო მესხი ლიკა ფირცხალაიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრები ხელმძღვანელი: სალომე სიგუა სამართლის მაგისტრი, ასისტენტ პროფესორი

# პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი ელემენტი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის როლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვასა და დარღვევაში საკმაოდ დიდია. შესაბამისად, სწორედ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხს განეკუთვნება ისეთი ბერკეტების შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების მიზნის დაკმაყოფილებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის გარეშე. ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს განსაკუთრებულ მონაცემთა დამუშავების წესი. პირადი ცხოვრების ისეთი ასპექტები როგორიცაა რელიგიური მრწამსი, პოლიტიკური შეხედულება, რასობრივი კუთვნილება და ასე შემდეგ, მოითხოვს განსაკუთრებულ დაცვას და ისინი საერთოდ არ უნდა მჟღავნდებოდეს ან ეს მინიმალურ ფარგლებში მოხდეს. მიუხედავად ამისა, ცხადია, მათი დამუშავების შესაძლებლობა და საფუძველი საკმაოდ ფართოა.

პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია საკმაოდ ბევრ ასპექტს მოიცავს. გამოვყოფდი სამედიცინო ინფორმაციას. მონაცემთა დამმუშავებელს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს სამედიცინო ინფორმაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაციის მნიშვნელობა ადამიანის მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობაში ფუნდამენტურია.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შინაარსი და მნიშვნელობა. ნაშრომი იწყება პირადი ცხოვრებისა და საკითხების ამსახველი ასპექტებით. მოცემულ თავში სწორედ ის პირობები იქნება განხილული, რომლის დაცვაც აუცილებელია, რათა არ მოხდეს პირის პერსონალური უფლების აშკარა დარღვევა. ასევე, საუბარი იქნება იმ გამონაკლისებზე თუ პრაქტიკაში წამოჭრილ მრავალწლიან პრობლემურ საკითხებზე, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ თუ დაცვის რა სტანდარტს ამკვიდრებს სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული უფლების დასაცავად. შესაბამისად, თემა სრულდება სასამართლო პრაქტიკის ანალიზით, რომლებიც განავრცობენ კონსტიტუციით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შინაარსს და უფრო ნათლად წარმოაჩენენ მის მნიშვნელობას.

Nino Meskhi Lika Pirtskhalaishvili Tbilisi State University Bachelors

Supervisor: Salome Sigua Master of law, Assistant Professor

#### Right of personal data privacy is one of the elements of inviolability of personal life

The role of personal data protection in privacy in defense and violation is quite large. Consequently, it is personal. The issue of data protection is the introduction of leverage that ensures the purpose of the community to satisfy the purpose of privacy without violating inviolability. Important attention deserves special data processing Rule. These basics of processing special data Threaten aspects of a person's personal life that the legislator considered quite right to be special.

The information reflecting personal life covers quite a lot of aspects. I would take medical ignorance. To the data processor Special, caution should be exercised with medical information Related, since the meaning of this information is humans enjoying the right to privacy Fundamental.

The presented work discusses the inviolability of personal life Content and meaning. The work begins with personal life and issues with depicting aspects. In this chapter, exactly the conditions will be discussed, the protection of which is necessary in order not to exercise a person's right apparent violation. In addition, it will be about those exceptions or practices many years of problematic issues that can be fixed it is necessary. In addition, it is important to consider what standard of protection Establishes a court in practice to protect the right mentioned in practice. Consequently, the topic is completed by analyzing forensic practices that Extend their personal life guaranteed by the Constitution the content of inviolability and more clearly demonstrate its meaning

#### ნინო ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრი

ხელმძღვანელი: **პაატა ჯავახიშვილი** სამართლის დოქტორი, ასისტენტი

სასამართლო ხელისუფლების გამოწვევები საქართველოში: შიდა ორგანიზაციულ კომპეტენციათა გამიჯვნასა და მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას შორის

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია როგორც კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ისე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. სასამართლოს დამოუკიდებლობა აყალიბებს მდგრადობას, რომელიც აუცილებელია წებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში, ხელისუფალთა გარდაუვალი ცვლილების პერიოდში სტაბილურობისა და პროგრესის შესანარჩუნებლად. ამასთანავე, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემა ხელისუფლების თვითნებობისაგან უმთავრესი გარანტი და, აქედან გამომდინარე, მისი შეზღუდვის საშუალებაა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გამართული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა ყოველთვის აქტუალური საკითხი იყო. წლების განმავლობაში რიგი ინსტიტუციური განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, სასამართლო სისტემა კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა, რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი თუ პოლიტიკური პროცესების ანალიზიდან ნათლად იკვეთება, რომ გადამწყვეტ ფაქტორებად დღემდე შესაბამისი პოლიტიკური ნებისა და სათანადო სამოქალაქო თვითშეგნების არარსებობა რჩება. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია სწორედ 2012 წლის შემდეგ განხორციელებული რეფორმების სისტემური ანალიზი და საქართველოში არსებული მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის გარანტიების შეფასება. ნაშრომის ფარგლებში განხილულია სასამართლო ხელისუფლების შიდა ორგანიზაციულ კომპეტენციათა გამიჯვნისა და მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის პრობლემა. ამასთანავე, შემოთავაზებულია სისტემის გაჯანსაღების პერსპექტივები.

#### Nino Javakhishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Bachelor

Supervisor: Paata Javakhishvili

Doctor of Law, Assistant

# Challenges of the judiciary in Georgia: between separation of internal organizational competencies and individual independence of judges

Ensuring the independence of the judiciary is important for the rule of law and human rights, as well as for the economic and social development of the country. The independence of the judiciary establishes the resilience necessary to maintain stability and progress in any political system during a period of an imminent change of government. At the same time, an independent justice system is the main guarantee of protection against the arbitrariness of the government and, therefore, its means of restriction. The creation of a justice system in the history of independent Georgia has always been a topical issue. Despite several institutional changes over the years, the judiciary still faces significant challenges, which can be due to a variety of reasons. From the analysis of the current legal or political processes in the country, it is clear that the lack of appropriate political will and proper civic self-awareness remains a crucial factor. The purpose of this paper is to systematically analyze the reforms implemented after 2012 and to assess the guarantees of independence of the existing judicial system of Georgia. The paper discusses the problem of separation of internal organizational competencies of the judiciary and the individual independence of judges. In addition, prospects for system recovery are proposed.

რევაზ ბერულავა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: ბექა ქანთარია სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივ აღდგენამდე აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გაგრძელების ლეგიტიმურობა დემოკრატიული სახელმწიფოს კონტექსტში

ნაშრომში წარმოდგენილია, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, რომლითაც პარლამენტმა დაითხოვა, შემდეგ კი კომპეტენცია დაუდასტურა და უვადო უფლებამოსილება განუსაზღვრა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს. ასევე განხილულია საქართველოს საკანონმდებლო აქტები, რომლებიც დაკავშირებულია წარმომადგენლობით ორგანოსთან. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველო დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოა. სახელისუფლებო ძალაუფლების წყაროა ხალხი და ხელისუფლება ხორციელდება

კონსტიტუციის შესაბამისად. ამჟამად არ არსებობს კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევისა და დათხოვნის შესახებ, ასევე კონსტიტუციური კანონი აფხაზეთის ა/რ-ის შესახებ, აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მოვიძიოთ ერთიანი საკანონმდებლო ბაზა უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში უგულებელყოფილია კონსტიტუციის განსაზღვრული ვალდებულება. სწორედ, ნაშრომის ფარგლებში, შემუშავებულია რეკომენდაციები შესაბამისად საქართველოს პარლამენტმა შესაძლოა, სამართლებრივი საფუძველი წარმომადგენლობითი შეუქმნას ოკუპირეზული აფხაზეთის ორგანოს ფუნქციონირებასა და არჩევნების წესის განსაზღვრას კონსტიტუციური კანონის მიღებით აფხაზეთის ა/რ შესახებ. დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია, თუ რას უმაღლესი საბჭო, როგორც პოლიტიკური სიმბოლო. განმავლობაში საბჭო დეპუტატებისგან მთლიანად დაიცლება. ამ შემთხვევაში, გააგრძელებს მდგომარეობაში საინტერესოა, როგორ მსგავს არსებობას წარმომადგენლობითი ორგანო. ასევე, ნაშრომი შეისწავლის საერთაშორისო პრაქტიკას, კერძოდ, მოლდოვისა და უკრაინის სამართლებრივ რეგულაციებს მათ ოკუპირებულ და ანექსირებულ ტერიტორიებთან მიმართებით.

# Revaz Berulava Caucasus International University Bachelor

Supervisor: **Beka Kantaria**Doctor of Law Associate Professor

# The legitimacy of extension of A/R of Abkhazia's authority within the democratic state's context – until the restoration of Georgia's factual jurisdiction

The paper envisages the resolution of the Parliament of Georgia, by which the Parliament dissolved, then confirmed its competence and defined the term of office of the Supreme Council of the Autonomous Republic of Abkhazia, as well as discusses the legislative acts of Georgia, related to the representative body. According to the Constitution of Georgia, Georgia is a democratic and legal state. The source of governmental power is the people, hence power is exercised in accordance with the constitution. Currently, Constitution does not define a law on the election and dismissal of the Supreme Council, as well as a constitutional law on the A / R of Abkhazia. Thus, it is impossible to find a unified legal framework for the authority of the Supreme Council. The Constitution of Georgia stipulates that the powers of the Autonomous Republics of Abkhazia and Adjara and the procedure for their implementation shall be determined by the Constitutional Laws of Georgia, which are an integral part of the Constitution of Georgia. However, in our case, the defined obligation of the Constitution is neglected. It is within the framework of the paper that

recommendations have been developed according to which the Parliament of Georgia may establish a legal basis for the functioning of the representative body of occupied Abkhazia and determine the rules of elections by adopting a constitutional law on the Autonomous Republic of Abkhazia. In conclusion, it sets out the practices of the Supreme Council as a political symbol. Gradually over time, the council will be empty of deputies. In this case, the subject of interest is the way how the representative body will continue its function. The paper, on the other hand, will examine international practice, in particular the legal regulations of Moldova and Ukraine concerning their occupied and annexed territories.

ანი ხურცილავა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: მიხეილ ბიქია სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

#### საადვოკატო საიდუმლოების დაცვის პრობლემები სამოქალაქო სამართალში

- 1. საქართველოს კანონმდებლობაში არ გვხვდება ტერმინი "საადვოკატო საიდუმლოება", რაც იმას ნიშნავს, რომ დასადგენია, როგორია ამ კუთხით კანონმდებლობის მიდგომა და იცავს თუ არა ის საადვოკატო საიდუმლოებას.
- 2. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს განმარტებით, არ არსებობს იმის მიზეზი, რომ პირადი ცხოვრების კონცეფცია განიმარტოს პროფესიული ან კომერციული საქმიანობების გამოკლებით, ვინაიდან სწორედ სამუშაოს საშუალებით აქვთ ადამიანებს გარე სამყაროსთან ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა.
- 3. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით განმტკიცებულია უმნიშვნელოვანესი პრინციპი სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შესახებ. ამ განაწესის თანახმად, უფლების განხორციელება შესაძლებელია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.
"This work was supported by Shota Rustaveli National Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number MR-21-224]". Supervisor of the paper: Associate Professor Badri Gechbaia. Today, our daily lives are unimaginable without digital technologies. We can say that all processes around us are digitized. Digital technologies can accelerate economic growth and create jobs in a very short time, which is impossible for traditional industries without digital technologies. It should be noted that one of the most important problems in this area is the low level of knowledge, the lack of practice in the production of statics, and the lack of relevant skills and qualifications of workers. Today, all workers, regardless of their place of employment, need digital skills. The education system plays an important role in these issues. The educational system is crucial in these challenges. Today, data processing and process management should be one of the most significant components of learning. The study analyzes the economic and social importance of digitalization, as well as its role in the training of qualified workers. The readiness of the education sector in this direction is being assessed, and the importance of digitization of higher education institutions in digital transformation is highlighted.

#### გიორგი ქებაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ბაკალავრი

ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია** ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# ღონისმიების რისკებისა და უსაფრთხოების მეწეჯმენტი COVID-19-ის პანდემიის პირობებში

ღონისძიეზის წარმატებით ორგანიზებისთვის აუცილებელია წინასწარ დავადგინოთ, რა ხელშემშლელი გარემოება შეიძლება არსებობდეს და როგორ ავირიდოთ თავიდან მოსალოდნელი საფრთხე. ღონისძიების უსაფრთხოება გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე უსაფრთხოების პერსონალის მიერ ადგილის უბრალოდ დათვალიერება. პროცესი საკმაოდ რთულია და ფართო კოორდინაციასა და კომუნიკაციას მოითხოვს უსაფრთხოების სწორი პრაქტიკის გამოყენებით. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი საფრთხეების დადგენა დაგეგმვის ისეთივე აუცილებელი შემადგენელი ეტაპია, როგორც მიზნის განსაზღვრა, ბიუჯეტირება და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზი. სწორედ შედეგების შეფასებისთვის არის აქტუალური წინასწარი სამზადისი, რაც გვეხმარება ორგანიზებულად ვიმოქმედოთ ყველაზე გაუთვალისწინებელ შემთხვევაშიც კი. გარემოს ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი რისკები, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გახადოს არსებული რისკი, გავლენა მოახდინოს ქმედებების ეფექტზე, ან შეცვალოს ჩვენი ინვესტიცია რისკის მართვაში. რისკის მართვის გეგმა ნებისმიერი მოვლენის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ასპექტია. რისკის მართვის გეგმა განსაზღვრავს ყველა პოტენციურ რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ღონისძიების ჩატარების შედეგად. ღონისძიების ორგანიზატორებმა ყველაფერი უნდა იღონონ გამოვლენილი რისკების შესამცირებლად. ვინაიდან რისკების მართვა არის ღონისძიებების მართვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, ამიტომ ის უნდა განხორციელდეს დაგეგმილი და პროფესიული გზით. შეხვედრის ან ღონისძიების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საკითხების შეფასება. 2020 წელს კორონა ვირუსით გამოწვეული პანდემიის გამო დისტანციურად მუშაობა სავალდებულო გახდა. დიდი ცვლილებების ფონზე სახლიდან მუშაობა ბევრი ადამიანისთვის შეიძლება ძალიან სტრესული იყოს, ამიტომ კომპანიების ძირითადი საზრუნავი გახდა თანამშრომლების კეთილდღეობაზე ზრუნვა. დისტანციურად მომუშავე თანამშრომლები ნაკლებად მჭიდრო ურთიერთობებს ამყარებენ კოლეგებთან, თანამშრომელი ვეღარ ხედავს კომპანიის საერთო სურათს და უჭირს აღიქვას საერთო მიზანი, იკარგება საკუთარი პოზიციის და შესრულებული სამუშაოს როლის და მნიშვნელობის შეგრძნება.

Giorgi Kebadze
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Nana Akhalaia
Doctor of economics,
associate Professor

#### Event Risk and Security Management under the Covid-19 pandemic

To successfully organize an event, it is essential to determine in advance what constraints may exist and how to avoid the imminent danger. The process is quite complex and requires extensive coordination and communication. Using the right safety practices. Prepreparation is essential for evaluating the results, which helps us to act in an organized manner even in the most unforeseen cases. Changes in the environment can lead to new risks, make existing risks more or less significant, affect the effect of actions, or change our investment in risk management. A risk management plan is an important aspect of planning any event. The risk management plan identifies all potential risks that may arise because of the event that event organizers must take to mitigate all identified risks. Because risk management is a very important part of event management, it must be done in a planned and professional manner. Rate. In 2020, remote work became mandatory due to the pandemic caused by the coronavirus. Working from home in the face of great change can be very stressful for many people, so the main concern of companies has become to take care of employee well-being moreover a sense of importance.

#### ნესტან ვარშანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრანტი

ხელმძღვანელი: **ნათელა წიკლაშვილი** ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

## ლურჯი ეკონომიკა: იმპორტშემცვლელი დარგების განვითარების პერსპექტივები

მოცემული კვლევა განხორციელდა "შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი MR-21-1059]. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ლურჯი ეკონომიკა, რომელიც ეხმიანება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (მიზანი 1; 8; 14: 15; 17). მსოფლიო ოკეანეები, ზღვები და წყლის რესურსი სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია,

მილიარდობით ადამიანისათვის საცხოვრებელი და საარსებო საკვეზით უზრუნველყოფის წყაროა და ჩართულია სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობაში. ნაშრომის მთავარი მიზანია ლურჯი ეკონომიკის ფარგლებში არსეზული მდგომარეობისა პოტენციალის პრობლემური საკითხების და შესწავლა, გაანალიზება მსოფლიოსა და საქართველოში. ლურჯი ეკონომიკა აერთიანებს ისეთ სექტორებს როგორებიც არის: სანაპირო ტურიზმი, აქვაკულტურა, ლურჯი ენერგია, ლურჯი ბიოტექნოლოგიები და მოპოვება ზღვის ფსკერზე. ჩვენთვის, როგორც პიდრორესურსებით მდიდარი შავიზღვისპირეთის ქვეყნისთვის, ლურჯი ეკონომიკის პრინციპების გატარება და დანერგვა განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია ლურჯი ეკონომიკის არსი, პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებული რიგი პრობლემები. მეორე ნაწილში კი აღწერილია სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და საქართველოში, კერმოდ, აჭარაში არსებული ზღვისა და მდინარის პროდუქტების მეურნეობების წინაშე არსებული გამოწვევები. წინარე მასალის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები. მოცემულია ავტორისეული ხედვები/პოზიცია და რეკომენდაციები.

Nestan Varshanidze
Batumi Shota Rustaveli State University
Master's degree
Supervisor: Natela Tsiklashvili
Doctor of Economics,
Professor

#### Blue Economy: Prospects for the Development of Import-Substitute Sectors

Shota Rustaveli National Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number MR-21-1059] supported this work. This paper discusses the Blue Economy, which response to the UN Sustainable Development Goals (Goal 1; 8; 14:15; 17). The world's oceans, seas, and water resources are of vital importance. It is a source of livelihood for billions of people. It is all involved in various economic activities. The main goal of the paper is to study the current situation and potential within the blue economy and to analyze problematic issues in the world and in Georgia. The blue economy combines sectors such as coastal tourism, aquaculture, blue energy, blue biotechnology, and seabed mining. For us, as a Black Sea country rich in hydro resources, the implementation and introduction of the principles of the blue economy provide an opportunity for development. The first part of the paper raises several problems related to the conduct of the Blue Economy policy. The second part describes the experiences of different countries and the challenges facing seafood and river farms in Georgia, in particular in Adjara. Conclusions are made based on the analysis of the previous material. The Author's views/position and recommendations are given.

#### ნიკო ლეონიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრი

ხელმძღვანელი: **გიორგი აბუსელიძე** ეკონომიკის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

სადეპოზიტო ბაზრის ემპირიული ანალიზი და განვითარების პერსპექტივები ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე

სადეპოზიტო ბაზარი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მოსახლეობის ფინანსური დონის განსაზღვრას. თემის საკვლევი პრობლემა ორიენტირებულია საქართველოში არსებული სადეპოზიტო ბაზრების რეალური მდგომარეობისა და მისი შეფასების ეკონომიკურ-ფინანსური მხარეების წარმოჩენაზე. მიუხედავად იმისა, რომ სადეპოზიტო ბაზრის განვითარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ეტაპზეა, საქართველოში შეგვიძლია ვთქვათ, რომ დეპოზიტების ბაზარი ხასიათდება მზარდი განვითარების პერსპექტივით, რომლის ობიექტური შესწავლისთვის მნიშვნელოვანია გამოკვლეული და შეფასებული იქნას მისი ზრდისა და განვითარების მიზეზები და ის ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ ახდენს მასზე გავლენას. გარდა ამისა ნაშრომში განხილულია დეპოზიტების სტრუქტურა და თავისებურებები საქართველოს ბაზართან მიმართებით, რომელიც მოიაზრებს სხვადასხვა სახის დეპოზიტების სტატისტიკური მონაცემების ანალიზს, ბანკების მიერ შემოთავაზებულ სადეპოზიტო განაკვეთებსა და ასევე დეპოზიტების დაზღვევის როლს ქვეყნის სადეპოზიტო ბაზრის განვითარებაში. კვლევის მიზანია საქართველოში არსებული სადეპოზიტო ბაზრის ფინანსური და სოციალური მნიშვნელობის წარმოჩენა, რომლის საფუძველზეც შეფასებულია მისი მდგომარეობა და ჩამოყალიბებულია კონკრეტული პერსპექტივები საქართველოს სადეპოზიტო ბაზრის განვითარების ზრდის თვალსაზრისით.

Niko Leonidze
Batumi Shota Rustaveli State University
Bachelor
Supervisor: Giorgi Abuselidze
Doctor of Economics,
Associate Professor

Empirical analysis of the deposit market and development perspectives in the wake of current events in the country and the world

The deposit market is one of the most important elements on the path of the economic prosperity of the country, which is directly related to determining the financial level of the

population. The research problem of the topic is focused on presenting the real situation of the deposit markets in Georgia and the economic-financial aspects of its assessment. Although the development of the deposit market is at different stages in different countries of the world, in Georgia we can say that the deposit market is characterized by a growing development perspective, the objective of which is to study and evaluate the reasons for its growth and development and the factors that directly affect it. In addition, the paper discusses the structure and peculiarities of deposits in the Georgian market, which considers the analysis of statistical data on various types of deposits, deposit rates offered by banks, as well as the role of deposit insurance in the development of the country's deposit market. The research aims to present the financial and social importance of the deposit market in Georgia, based on which its condition is assessed and specific perspectives are formed in terms of the growth of the deposit market in Georgia.

ნინო ჯმუხაძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: თამარ დუდაური ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ორგანიზაციული ქცევა და COVID-19-ის პანდემია

თანამედროვე ეტაპზე COVID-19-ის პანდემიის პირობებში, რამაც გამოიწვია ეკონომიკური სიტუაციის მნიშვნელოვანი არასტაბილურობა და ცვლილებები ორგანიზაციულ წარმოშობილი პერსონალის ქცევაში, პრობლემები ორგანიზაციული ფუნქციონირების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ორგანიზაციის მენეჯმენტის სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციულ ცვლილებას COVID-19-ის პანდემიის პირობებში. ორგანიზაციის მენეჯერთა გუნდს მნიშვნელოვანი სამუშაოს ჩატარება მართებს, რაც დაკავშირებულია საგრმნობ სიმნელეებთან, რომელთა დამლევა თანამედროვე ორგანიზაციის ეტაპზე ყოველი კონკრეტული განვითარების გადამწყვეტ წინაპირობას წარმოადგენს. პანდემიით გამოწვეულმა მოვლენებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა დასაქმებულთა ქცევაში. COVID-მა გამოიწვია ადამიანთა იზოლაციაში ყოფნა და პარალელურად მუშაობა, ფიზიკური, სოციალური დისტანციის აუცილებლობა. საჭირო ორგანიზაციებში დაცვის გახდა დასაქმებულთა ქცევის ახალ რეალობასთან ადაპტაცია.

Nino Jmukhadze
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Tamar Dudauri
Doctor of Economics,
Associate Professor

#### Organizational Behavior and the COVID-19 Pandemic

In the modern phase of the COVID-19 pandemic, which has led to significant economic instability, changes in staff organizational behavior and emerging problems have become an important factors in organizational functioning. Of particular importance in the organization's management system is organizational behavior, and its change in the context of the COVID-19 pandemic. In this regard, the team of managers of the organization has to do important work, which is associated with significant difficulties, the overcoming of which is, at the present stage, a crucial prerequisite for the development of any particular organization. The pandemic caused events have brought about some changes in employee behavior. COVID has led to the isolation of people and the need to work in parallel, the need to protect physical, and social distance. It became necessary to adapt the behavior of employees in organizations to the new reality.

#### მარიამ მელიქიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: **მამუკა თორია** ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## პერსონალის შერჩევისა და დაქირავების თანამედროვე გამოწვევები ორგანიზაციაში

კონკურენტულ გარემოში ბაზარზე კომპანიების წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მაღალი პროფესიულ-კვალიფიციური მომზადების მქონე პერსონალი. ამ თვალსაზრისით, ადამიანური რესურსები თანამედროვე კომპანიების განვითარების სტრატეგიული რესურსია. პერსონალის შერჩევა და დაქირავება, ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, რთული და საკითხია. მრავლისმომცველი კვალიფიციური პერსონალი ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ერთ-ერთი ფაქტორია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციაში სათანადო მომზადების და უნარ-ჩვევების მქონე პერსონალის შერჩევისა და დაქირავების პროცესის სწორად ორგანიზებას. ამისათვის აუცილებელია 1. ზუსტად განისაზღვროს, თუ როგორი მომზადების უნარ-ჩვევების მქონე პერსონალია საჭირო ორგანიზაციის წინაშე არსებული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად; 2. ჩამოყალიბდეს პერსონალის შერჩევისა და დაქირავების გეგმა, სადაც დაკონკრეტებული იქნება დასაქირავებელი პერსონალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები; 3. შეფასდეს კანდიდატების კომპეტენციები. 4. დაქირავების პროცესისას გამოყენებულ იქნას გასაუბრების მეთოდი, ასევე სხვადასხვა სახის კითხვარები და ტესტები; 5. ხელი შევუწყოთ დაქირავებული პერსონალის ორგანიზაციაში ადაპტაციის პროცესს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის წარმატებულ საქმიანობას სწორედ პერსონალის შერჩევისა და დაქირავების გამართული სისტემის ჩამოყალიბებით ეყრება საფუძველი.

Mariam Melikidze
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Mamuka Toria
Doctor of Economics,
Associate Professor

# Modern challenges of staff selection and recruitment in the organization

A highly professional cultural training staff is one of the defining factors of the two functioning companies sold in a competitive environment. In this sense, human resources are a strategic resource for the development of modern companies. The selection and hiring of staff is a complex and multifaceted issue based on the goals of the organization. Qualified staff is one of the most important factors in enhancing the competitiveness of an organization. Due to the above great importance is attached to the process of selection and hiring of staff with good training and skills. For this, you will need 1. Determine exactly what kind of training skills are needed to successfully solve the tasks facing the organization; 2. Develop a staff selection and hiring plan which will specify the quantitative and qualitative parameters of the staff to be hired; 3. Evaluate the competencies of the candidates. 4. In hiring, processes use the interview method as well as a variety of questions and tests. 5. Facilitate the process of adaptation in the organization of hired staff. Thus, it can be said that the basis of the successful work of the company is the selection and hiring of staff.

#### მარიამ თვარაძე

ალმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

დოქტორანტი

ხელმძღვანელი: **ავთანდილ გაგნიძე** 

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,

ელოქესორი

# DCFTA ხელშეკრულების მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისთვის

ამ კვლევის მიზანია განიხილოს მოსალოდნელი დაბრკოლებები და ხელსაყრელი შესაძლებლობები, რასაც ევროკავშირთან დადებული შეთანხმება (DCFTA) მოუტანს ქართველ მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელებს. ევროკავშირთან დაიდო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება. ამ შეთანხმების მიხედვით საქართველო ვალდებულია თავისი კანონმდებლობა და პროდუქტები მოარგოს. ეს ევროკავშირის რეგულაციებს მნიშვნელოვნად საქართველოში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე. მორგების შემდეგ ქართველ მცირე და საშუალო ბიზნესმენებს შეეძლებათ თავიანთი პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში, რაც საგრძნობლად გაზრდის მათ კაპიტალს. თუმცა, მეორე მხრივ, ამ ხელსაყრელ შესაძლებლობებთან ერთად მრავალი დაბრკოლებაც არსებობს, რადგან ამ ეტაპზე ქართული პროდუქტები შორს არის ევროკავშირის მიერ დაწესებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ნორმებისაგან. ამასთან ერთად, ქართველ მცირე და საშუალო ბიზნესმენებს არ აქვთ საჭირო რაოდენობის თანხები საკუთარი პროდუქტების გასაუმჯობესებლად და, ამასთანავე, არ აქვთ იმედი, რომ ამდენი ფულის ჩადების შემდეგ გაწეული ძალისხმევა დაუფასდებათ. ყოველივე ზემოაღნიშნული ამ თემას მეტ აქტუალურობას სმენს. DCFTA ხელშეკრულების მნიშვნელობა, მოცემული ნორმების დაცვა და შეთანხმების მეშვეობით თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა ჩვენი ბიზნესის განუყოფელი ნაწილია. ამასთან ეს პროექტი განიხილავს ევროკავშირის მიერ დაწესებულ რეგულაციებს ამ შეთანხმების ფარგლებში და აღწერს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნორმატივებს, რასაც საქართველო უნდა მოერგოს. ამასთან ერთად განიხილება დაბრკოლებები, რასაც თანამედროვე მცირე და საშუალო ბიზნესმენები აწყდებიან საკუთარი პროდუქტების გასაუმჯობესებლად და ასევე განიხილება სხვა ქვეყნების მაგალითები. ამასთან, დასკვნის გასაკეთებლად შევაჯამებთ კითხვარს, რომელზე პასუხებიც მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რა პრობლემები აქვს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესებს და როგორ შეიძლება მათი გადაჭრა.

Mariam Tvaradze
East European University
Doctoral Studies
Supervisor: Avtandil Gagnidze
Doctor of Physics and Mathematics,
Professor

### Importance of the DCFTA Agreement For The Georgian Economy

This study intends to discuss the challenges and opportunities that DCFTA can pose to Georgian Small and Medium Enterprises. Four years ago, a Deep and Comprehensive Free Trade Agreement was signed between Georgia and the EU. According to this agreement, Georgia has to approximate its legislation and its products to the EU regulations. The outcome will have huge consequences on the economic situation in Georgia. After the approximation, Georgian SMEs can export their products to European Market, which will greatly increase their capital. On the other hand, with opportunities come great challenges as well, because the vast majority of Georgian products are far from the sanitary and phytosanitary norms set by the EU. Now, it seems that Georgian SMEs lack the necessary funds to improve their products and the motivation to spend a lot of energy and resources for complying with the EU standards. For this reason, the challenges are abundant and require thorough analysis. This research will discuss the DCFTA regulations and describe all the economic and political norms that Georgia has to comply with. It will also discuss the problems that Georgian SMEs face during the approximation while analyzing the case of other countries that have recently adjusted to the norms set by the EU, or the ones who are in the process of doing that. This research will include a survey made recently which will present important information regarding the problems that Georgian SMEs are facing and the potential ways of dealing with them.

# ტურიზმის ქვესექცია Subsection of Tourism

ანა გედენიძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: ნანა ახალაია ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### ღონისძიებების სტატისტიკური შესწავლა COVID-19-ის პანდემიის პირობებში

შეხვედრების, სტიმულირების, კონფერენციებისა და გამოფენების ინდუსტრია, რომელიც დღეს საყოველთაოდ ცნობილია MICE-ის სახელით, ხელს უწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას და აქტიურად ასტიმულირებს კულტურულისტორიული და ბუნებრივი რეკრეაციული რესურსების რაციონალურ გამოყენებას. COVID-19-ის გავრცელებამდე ყველაზე ხშირად ჩატარებული ღონისძიებები იყო კორპორატიული ღონისმიებები, კონფერენციები, გამოფენები, სემინარები, ფონდების მოზიდვა, სავაჭრო შოუები, ფესტივალები, მუსიკალური და მხატვრული პროდუქტების გაშვება წარმოდგენები, და სპორტული ღონისმიებები. ღონისძიებების ბაზარზე პირველადი დაინტერესებული მხარეები იყვნენ და, მირითადად, კვლავ არიან კორპორატიული, არასამთავრობო და საზოგადოებრივი მსოფლიოში, მოგზაურობისა ორგანიზაციები. მთელ და გადაადგილების შეზღუდვების აღსრულების გამო, ღონისძიების ჩატარების ადგილების უმეტესობა იძულებული გახდა დახურულიყო. შედეგად, ბევრი ცნობილი და კერძო გადაიდო ან გაუქმდა. გაუქმების და გადადების შედეგად, ინდუსტრიის ბევრმა ბიზნესმა მნიშვნელოვანი შემოსავალი დაკარგა და შეწყვიტა კონტრაქტები. ღონისძიებების ინდუსტრიის რამდენიმე კომპანია გაკოტრებულად გამოცხადდა, ზოგი იძულებული გახდა შეემცირებინა კადრები, ზოგიერთმა პროფესიონალმა კი საკუთარი სურვილით დატოვა ინდუსტრია. სტატისტიკა აჩვენებს, რომ კონფერენციები ყველაზე პოპულარული ტიპის ღონისმიება იყო ინდუსტრიაში, ორგანიზატორების 62% გეგმავს მათ. კორპორატიული ღონისძიებების კატეგორია იყო მეორე ყველაზე პოპულარული ტიპის ღონისძიება, ორგანიზატორების 61.2% გეგმავდა მათ. მესამე ადგილზე ვორქმოპები იყო, ორგანიზატორების 46.7% გეგმავდა მათ. 2019 წელს ღონისძიებების ინდუსტრია შეფასდა \$1,135.4 მილიარდ დოლარად, რაც მოსალოდნელი იყო 2028 წლისთვის.

Ana Gedenidze
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Nana Akhalaia
Doctor of economics,
associate Professor

#### Statistical study of measures under the covid-19 pandemic conditions

Today, the industry of meetings, incentives, conferences, and exhibitions, commonly known as MICE, promotes economic diversification and actively promotes the rational use of cultural-historical and natural recreational resources. The most common events before the release of COVID-19 included corporate events, conferences, exhibitions, seminars, fundraising, trade shows, festivals, music and art performances, product launches, and sporting events. The primary stakeholders in the event market were and still are mainly corporate organizations, non-governmental organizations, and non-governmental organizations. With the enforcement of travel and travel restrictions around the world, most event venues have been forced to close. As a result, many well-known and private events have been postponed or canceled. As a result of cancellations and deferrals, many businesses in the industry suffered significant revenue losses and terminated contracts. Several companies in the event industry went bankrupt, some were forced to cut staff, and some event professionals left the industry voluntarily. Statistics show that conferences were the most popular type of event in the industry, with 62% of organizers planning them. The category of corporate events was the second most popular type of event, with 61.2% of the organizers planning them. In third place were workshops, with 46.7% of organizers planning them. In 2019, the events industry was estimated at \$ 1.135.4 billion, which was expected by 2028.

ანა ვეკუა
სალომე ვეკუა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრები
ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

# ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პოლიტიკა პანდემიის პირობებში

ტურიზმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრია და მრავალი ქვეყნისთვის ძირითადი დასაქმების გენერაციაა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ეკონომიკური და სოციალური ფენომენი. ტურიზმის განვითარებაში წამყვანი როლი აკისრია საქართველოს ტურიზმის ეროვნულ

ადმინისტრაციას, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას. მისი მიზანი და ამოცანებია საქართველოს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება, საქართველოს წარდგენა როგორც უნიკალური და ყველაზე მიმზიდველი ქვეყნისა მსოფლიო ასპარეზზე. ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი სამომავლო სტრატეგიის განხორციელებაზე უარყოფითად იმოქმედა პანდემიამ. 2019 წლის მიწურულს ქვეყანა უდიდესი გამოწვევის წინაშე დადგა, COVID-19-ის ვირუსმა მცირე დროში მთელი მსოფლიო მოიცვა. პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე. მთავრობამ სწრაფად მოახდინა რეაგირება არსებულ ვითარებაზე და გარკვეული სახის შეზღუდვები დააწესა, რამაც შეამცირა კოვიდის გავრცელების სიხშირე. არსებულმა მძიმე მოცემულობამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მცირე და საშუალო საწარმოებზე, რომლებიც ტურიზმის სექტორის 80%მეტს შეადგენს. კონფერენციაზე ვისაუბრებთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ პანდემიის პირობებში ბიზნეს სექტორის მხარდამჭერისთვის განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების შესახებ, ნაჩვენები იქნება სახელმწიფოს მიერ ტურიზმისთვის გამოყოფილი სამი წლის ბიუჯეტი.

Ana Vekua
Salome Vekua
Caucasus International University
Bachelors
Supervisor: Lali Mikeladze
Doctor of Business Administration,
Associate Professor

#### the policy of the National Tourism Administratiduringing pandemic

Tourism is one of the fastest-growing industries in the world and generates basic employment for many countries. This is one of the most prominent economic and social phenomena. The National Tourism Administration of Georgia plays a leading role in the development of tourism. Policymaking presents Georgia as a unique and most attractive country on the world stage. The implementation of the future strategy planned by the administration had a negative impact on the pandemic. By the end of 2019, the country was facing a major challenge (COVID-19). The virus soon spread throughout the world. The pandemic had a significant impact on the country's economy. It has significantly affected small and medium enterprises, which account for more than 80% of the tourism sector. At the conference, we will talk about the projects and activities implemented by the National Tourism Administration during the conditions of the pandemic, to support the business sector, and will show the three-year budget allocated by the state for tourism.

#### ილივნოთუბბ დივათ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი იოგალაკატ

ხელმძღვანელი: **ლალი მიქელაძე** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# ტურიზმის პოლიტიკა და მდგრადი განვითარების პერსპექტივები

ტურიზმის პოლიტიკა სახელმწიფოს სტრატეგიას წარმოადგენს ტურიზმის დარგის ეფექტური წარმართვისთვის და რესურსების რაციონალური, მდგრადი განვითრების შესაბამისად ათვისებისთვის. ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპები აღიარებულია გლობალურ დონეზე ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორიც არის გაერო და ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია. მდგრადი განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებსაც საქართველო მიეკუთვნება. ტურიზმის სფეროში სწორად გატარებული პოლიტიკა აძლიერებს სახელმწიფოს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პოტენციალს. იმისდა მიუხედავად, რომ ტურიზმი კერმო ინიციატივაზეა დაფუმნებული, მისი ეფექტური ფუნქციონირება შეუძლებელია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. ბოლო დროის გლობალურმა გამოწვევებმა ნათლად გამოაჩინა ტურიზმის სფეროს ძლიერი და სუსტი მხარეები, სახელმწიფოს და ბიზნეს სუბიექტების მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა. მსოფლიო პანდემიამ, რეგიონში მიმდინარე მწვავე კონფლიქტებმა მძიმე დარტყმა მიაყენეს ტურიზმის დარგს და ტურიზმის სფეროში მოღვაწე სუბიექტებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა თანმშრომლობა პანდემიასთან მიმართულებით და რეგიონში მშვიდობის დამყარების ძალისხმევის გაძლიერება. ადგილობრივ დონეზე აუცილებელია კერძო სექტორის და სახელმწიფო სტრუქტურების მეტი კოორდინაცია, ტურისტული სუბიექტების და ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა, ინფრასტრუქტურული პროექტების განვითრების ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი ინიციატივების მხარდაჭერა, ენერგიის, ნარჩენების ალტერნატიული მართვის, ბიომეურნეობების ტრადიციული რეწვის მხარდაჭერა. ნებისმიერი კრიზისი ახალ შესაძლებლობებს აჩენს. 2022 წელს COVID-19 ვირუსის გავრცელებაში დაღმავალი ტენდენცია შეინიშნება, ამავე დროს ტურიზმის დარგი საკმაოდ დინამიკურად უბრუნდება პრეპანდემიურ მაჩვენებლებს, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმი საკმაოდ მედეგი და სიცოცხლისუნარიანი დარგია.

Davit Bagdoshvili
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Lali Mikeladze
Doctor of Business Administration,
Associate Professor

#### Tourism policy and sustainable development perspectives

Tourism policy is a strategy of the state for the effective management of the tourism sector and the appropriate use of resources in accordance with rational, sustainable development. Organizations such as the United Nations and the World Tourism Organization globally recognize the principles of sustainable tourism. Sustainable development is especially important for developing countries, which include Georgia. Properly implemented policies in the field of tourism enhance the social, economic, and political potential of the state. Although tourism is based on private initiative, its effective functioning is impossible without state intervention. Recent global challenges have clearly highlighted the strengths and weaknesses of the tourism sector, and the need for close cooperation between the state and business entities. The world pandemic and the ongoing acute conflicts in the region have dealt a severe blow to the tourism sector and tourism operators. It is therefore important for states to work together to combat the pandemic and to strengthen efforts to bring peace to the region. At the local level, there is a need for greater coordination between the private sector and government agencies, support for tourism entities and local organizations, and support for the development of infrastructure projects. It is also important to support environmental initiatives, support for alternative energy, waste management, organic farming, and traditional handicrafts. Any crisis raises new opportunities! In 2022, a downward trend will be observed in the spread of the COVID 19 virus, at the same time the tourism sector is returning to the pre-pandemic rates quite dynamically, therefore it can be said that tourism is a very resilient and viable sector.

# დიანა გრიგორიანი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: **ლალი მიქელაძე** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# MICE ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

COVID-19-ის პანდემიამ მთელი მსოფლიო მძიმე ეკონომიკურ კრიზისში ჩააგდო, რომელმაც დამანგრეველი დარტყმა მიაყენა ადამიანის საქმიანობის ყველა დარგს, ზოგიერთმა სექტორმა კი საერთოდ შეწყვიტა არსებობა გარკვეული პერიოდით.

ასეთ ინდუსტრიებს შორის აღმოჩნდა ტურიზმიც. კორონავირუსის პანდემიამ ძალიან უარყოფითი გავლენა მოახდინა ტურიზმის სექტორზე, რომელიც წინა წლებში საქართველოს ეკონომიკის წამყვან დარგს წარმოადგენდა. საქართველოში COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე 2020 წლის მარტის თვიდან თითქმის სრულიად შეჩერდა ტურისტული ობიექტების ფუნქციონირება. მასშტაზით უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მეოცე საუკუნის ეკონომიკური ფენომენი: MICE ტურიზმი, რომელსაც ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში ცენტრალური პოზიცია მტკიცედ უკავია, როგორც სექტორის მამოძრავებელს, შემოსავლების, დასაქმებისა და ინვესტიციების გენერატორს. ბოლო წლებში კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შეიძინა ტურიზმის ამ მიმდინარეობამ. MICE ტურიზმის ცნება ცნობილია როგორც ტერმინი "საქმიანი ტურიზმი" და იგი მოიცავს შეხვედრებს, წამახალისებელ ტურებს, კონფერენციებსა გამოფენებს. და მნიშვნელოვან ზიზნეს შესაძლებლობებთან ერთად საქმიანი ტურიზმის ინდუსტრია ეკონომიკის გაფართოების, სეზონურობის შემცირების, დანიშნულების ადგილების რეგენერაციის შესაძლებლობებს გვაძლევს. თანამედროვე MICE ტურიზმის ცენტრებია აშშ, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ჩინეთი და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად ვითარდება ინდუსტრია ინდონეზიაში, ლაოსსა და ვიეტნამში.

Diana Grigoriani
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Lali Mikeladze
Doctor of Business Administration,
Associate Professor

#### MICE Tourism Development Opportunities in Georgia

The COVID-19 pandemic plunged the entire world into a severe economic crisis, which dealt a devastating blow to all areas of human activity, with some sectors ceasing to exist altogether for some time. Tourism was among such industries. The coronavirus pandemic has had a very negative impact on the tourism sector, which in previous years was a leading sector of the Georgian economy. Due to the COVID-19 pandemic in Georgia, the operation of tourist facilities has been almost completely suspended since March 2020 The twentieth-century economic phenomenon is very popular around the world: MICE tourism, which has a strong position in the development of the tourism industry as a driver of the sector, a generator of income, employment and investment. In recent years, this trend of tourism has gained even more urgency. The concept of MICE tourism is known as the term "business tourism" and it includes meetings, promotional tours, conferences, and exhibitions. Along with significant business opportunities, the business tourism industry provides opportunities for economic expansion, seasonality reduction, and destination regeneration.

The USA, Spain, Great Britain, Germany, France, Italy, China, etc. represent modern MICE tourism centers. It is noteworthy that recently the industry has been developing significantly in Indonesia, Laos, and Vietnam.

### ეთუნა ბაციაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: **ლალი მიქელაძე** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# სოციალური მედიის როლი ტურიზმში

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ტექნოლოგიური განვითარება. თანამედროვე ტექნოლოგიებმა მთელი მსოფლიო შეცვალა, ხელი შეუწყო საქმიანი კავშირების განვითარებას, სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას და ერებს შორის პოლიტიკურ–ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, მათ შორის ინტერნეტმა შეცვალა ადამიანთა ურთიერთობა, ცხოვრება და შესაბამისად, ტურისტული ბიზნესიც. სოციალური მედია ადამიანებს შორის ინფორმაციის განხილვისა და გაცვლის ინტერნეტსაშუალებაა. ნებისმიერ ვებგვერდს, რომელიც ხელს უწყობს მომხმარებლებს შორის ურთიერთობას და შესაძლებლობას იძლევა გააზიარონ კონტენტი, შეხედულებები და საკუთარი აზრი, შეიძლება ეწოდოს სოციალური მედია. სოციალური მედიის იდეაა, დაამყაროს კავშირი და გააძლიეროს მხარეებს შორის ნდობა. დღევანდელ სამყაროში ადამიანები უფრო და უფრო მეტ დროს ატარებენ ონლაინ სივრცეში. ბევრი გადაწყვეტილების მიღება, როგორიც არის თუნდაც ადგილის შერჩევა, სად დაისვენონ თავისუფალ დროს, დღეს უკვე ინტერნეტის საშუალებით ხდება. ბევრი ბიზნეს ობიექტი თავის მარკეტინგულ სტრატეგიებს სწორედ ინტერნეტის, კერმოდ, სოციალური მედიის საშუალებით ახორციელებს. ტურიზმის ინდუსტრიაც ანალოგიურად მოერგო სოციალურ სივრცეს და ბიზნეს სუბიექტები აქტიურად აწარმოებენ თავიანთ ზიზნეს საქმიანობას. სოციალური მედია ხომ ინფორმაციის სწრაფად მიღების და გავრცელების საშუალებაა, ამიტომ მას უპირატესობას ანიჭებენ მომხმარებლები, ისე სხვადასხვა ბიზნესი, რადგან ეს ყველაფერი მათთვის მომხმარებლის მოზიდვის და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მძლავრი იარაღია.

#### Etuna Batsiashvili

Caucasus International University

Bachelor

Supervisor: Lali Mikeladze

Doctor of Business Administration,

Associate Professor

#### The role of social media in tourism

The technological development of modern globalization is gaining more and more importance. Modern technologies have changed the world, facilitated the development of business relations, the realization of scientific potential, and the development of intereconomic relations between nations. Information technologies, including the Internet, have changed human relationships, lives, and, consequently, the tourism business. Social media is an online means of discussing and exchanging information between people. Any website that fosters relationships between users and allows them to share content, views, and their own opinion can be called social media. The idea of social media is to establish a connection and strengthen trust between the parties. In today's world, people are spending more and more time online. Many decisions, such as choosing a place to spend your free time, are now being made online. Many business entities implement their marketing strategies through the Internet, in particular, social media. The tourism industry has similarly adapted to the social space and business entities are actively pursuing their flat business, social media is a way to quickly receive and disseminate information, so both consumers and businesses prefer it, as it is a powerful tool for attracting customers and gaining competitive advantage.

### სალომე კაპანაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი იმეგალაკალავრი

> ხელმძღვანელი: **ნინო კეკელიძე** ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# ესპანეთის სამეფოს ტურისტული შესაძლებლობები COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის ფონზე

ტურიზმი მსოფლიოს უმსხვილესი ინდუსტრიაა. მას შემდეგ, რაც ტურიზმმა მასობრივი ხასიათი მიიღო, საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა განუხრელად იზრდება. საერთაშორისო ტურიზმის აღმავლობა დიდად არის დამოკიდებული მსოფლიოში ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკოლოგიურ სტაბილურობაზე. ათასწლეულების მიჯნაზე ტურიზმის განვითარებამ უმაღლეს მაჩვენებლებს მიაღწია, თუმცა 2019 წელს მსოფლიოს მასშტაბით განვითარებულმა COVID-19-ის უდიდესი ზიანი მიაყენა პანდემიამ მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიას. ესპანეთის სამეფოს ტურისტული შესაძლებლობები მაღალ დონეზეა აყვანილი, ის მსოფლიოს ყველაზე მონახულებად ქვეყნებს შორის მესამე ადგილზეა. მოგზაურობა ნიშნავს შეხვედრას მზესთან, შესანიშნავ ესპანეთში სამზარეულოსთან, სტუმართმოყვარეობასა და სიცოცხლის სიხარულთან, ასევე შეხვდებით უძველესი ცივილიზაციის ნაკვალევს, თვალწარმტაც და უნიკალურ პეიზაჟებს. ესპანეთის სამეფო იმ მაღალი რისკის ქვეყნების ჯგუფში შედიოდა, სადაც ყველაზე სწრაფად ვითარდებოდა პანდემია. პანდემია COVID-19-მა დიდი ზიანი მოუტანა ესპანეთის სამეფოს და მთელს მსოფლიოს, რამდენიმე ურთულესი წლის შემდეგ მსოფლიომ მაინც შეძლო ეტაპობრივად ისევ გამართულიყო, ისწავლა პანდემიასთან ერთად უსაფრთხოდ ცხოვრება და ნელ-ნელა მისი დამარცხებაც. ესპანეთის სამეფო ერთ-ერთი იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ყველაზე მეტად ებრძოდნენ პანდემიას და, ფაქტობრივად, თითქმის დაამარცხეს ის.

Salome Kapanadze
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Nino Kekelidze
Doctor of Business Administration,
Associate Professor

# Tourism opportunities of the Kingdom of Spain against the background of the pandemic caused by COVID-19

Tourism is the largest industry in the world, and since tourism became massive, the number of international tourists has been steadily increasing. The rise of international tourism is highly dependent on economic, social, political, and ecological stability in the world. At the turn of the millennium, the development of tourism reached its highest levels, however, in 2019, the worldwide pandemic COVID-19 caused the greatest damage to the world tourism industry. The tourism opportunities of the Kingdom of Spain are at a high level, it ranks third among the most visited countries in the world. A trip to Spain means meeting the sun, wonderful cuisine, hospitality, and the joy of life, as well as meeting the footprints of an ancient civilization, both picturesque and unique landscapes. The Kingdom of Spain was one of the high-risk countries with the fastest pandemic. Pandemic COVID-19 caused great damage to the Kingdom of Spain and the world, after several difficult years the world was still able to gradually recover, learned to live safely with the pandemic, and slowly defeat it. The Kingdom of Spain was one of the countries that fought the most pandemics and is on the verge of defeat.

#### სალომე მანძულაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი

> ხელმძღვანელი: **ლალი მიქელაძე** ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# საჰაერო ტრანსპორტის მნიშვნელობა ტურიზმში

XXI საუკუნეში ტურიზმი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა, რომელიც მსოფლიოსთვის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს. მოგზაურობის და ტურიზმის სფერო მსოფლიოში ყველაზე დინამიკურად და სწრაფად განვითარებადი სექტორია. ტურიზმი და ტრანსპორტი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სექტორებია. ვინაიდან ტურიზმი სხვაგან ყოფნას ნიშნავს, ტრანსპორტი საცხოვრებელ გარემოსა და დესტინაციას შორის ხიდს წარმოადგენს. ტურისტული დესტინაციების მისადგომობა სწორედაც, ტრანსპორტმა გაზარდა. ტურიზმი მთლიანად მისადგომებზეა დამოკიდებული, რეალურად ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის მისადგომობა თუ მიუდგომლობა, ხელს უშლის ან უწყობს ტურიზმის განვითარებას. საქართველოში ფუნქციონერებს ორი შიდა და სამი საერთაშორისო აეროპორტი, რომლებიც სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია მოწესრიგებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გარეშე. ამასთან, საჰაერო გადაზიდვის განმახორციელებელი სატრანსპორტო გადაყვანა კომპანიეზის ეფექტიან მუშაობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის სავაჭროსამრეწველო და ტურისტული საქმიანობა. საკონფერენციო თემაში განხილულია საჰაერო ტრანსპორტის არსებული მდგომარეობა საქართველოში, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი სექტორის განვითარებისთვის, ტურიზმის ბაზარზე არსებული სატრანსპორტო სერვისები და საერთაშორისო ვიზიტორთა არჩევანის მოტივაცია საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაში.

Salome Mandzulashvili
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Lali Mikeladze
Doctor of Business Administration,
Associate Professor

# The Importance of Air Transport in Tourism

The fastest-growing industry is tourism in the 21st century, which is the most important economic activity in the world. The field of travel and tourism is the most dynamically and

rapidly developing sector in the world. Tourism and transport are closely related sectors. Being elsewhere means, transport is a bridge between the living environment and the destination. Access to tourist destinations is exactly what transport has increased. Tourism depends entirely on access; in fact, the access or inaccessibility of tourism-recreational resources hinders or contributes to the development of tourism. There are two local and three international airports. These airports satisfy the international airports' standards (ICAO) according to international laws. Economic development is impossible without an appropriate infrastructure of transport for any state. A country's industry, trade, and tourism development are dependent on the working of air companies on their transit. The topic of the conference is the current state of air transport in Georgia, the role of international organizations in the development of the sector, transportation services in the tourism market, and the motivation of international visitors' choice in air transport services.

#### თათია ვახტანგიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **ნინო კეკელიძე**ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

# საბერძნეთი - როგორც მიმზიდველი და მოთხოვნადი ტურისტული მიმართულება

XXI საუკუნის დასაწყისში ტურიზმი გვევლინება, როგორც ეკონომიკის ერთსტაბილურად განვითარებული ტურიზმის ერთი დარგი. გამყვანი შესაძლებლობების მხრივ საქართველო ზრდის ტემპით გამოირჩევა. საქართველოში მოქმედი ტურისტული კომპანიები აქტიურად გეგმავენ გამყვან ტურებს ისეთ პოპულარულ ტურისტულ რეგიონებში, როგორიც არის საბერძნეთი. საზღვაო ტურიზმი საბერმნეთში ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა, რასაც ხელს უწყობს ამინდი, ულამაზესი კუნძულებისა და პლაჟების მრავალფეროვნება. ვითარდება საქართველოსა და საბერმნეთს შორის ორმხრივი აქტიურად თანამშრომლობა სხვადასხვა ძირითადი მიმართულებებით. ტურიზმი არის ერთერთი სექტორი, რომელმაც ყველაზე დიდი ზიანი მიიღო Covid 19-ის პანდემიის დაწყების შედეგად. 2022 წლის 7 თებერვალს საქართველო დაემატა იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა მოქალაქეებსაც საბერმნეთში შესვლა შეუძლიათ ნებისმიერი მიზნით. გარემო სწრაფი ტემპით განიცდის ცვალებადობას, აქედან ტურიზმის გამომდინარე პოპულარული გახდა გამყვანი განვითარება საზერმწეთის საქართველოდან საზერმნეთის მიმართულებით. საქართველოს მიმართულებით გამყვანი ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. გამყვანი ტურიზმის ინდუსტრიის არსებული მომსახურებისა და პროდუქტების საფუძვლიანი კვლევა შემდგომში დაეხმარება ტურიზმის ამ სახეობაში შემავალი კერძო ბიზნესის მფლობელებს უკეთ შეისწავლონ ბაზარი, დაინახონ რა რისკებთან არის ის დაკავშირებული.

Tatia Vakhtangishvili
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Nino Kekelidze
Doctor of Business Administration,
Associate Professor

#### Greece - as an attractive and popular tourist destination

At the beginning of the 21st century, tourism is becoming one of the most stable sectors of the economy. Georgia is growing in terms of outbound tourism opportunities. Travel companies operating in Georgia are actively planning outbound tours to popular tourist regions such as Greece sea tourism is one of the most important types of tourism in Greece, which is facilitated by the weather, and the variety of beautiful islands and beaches. Bilateral cooperation between Georgia and Greece is actively developing in various key areas. Tourism is one of the sectors most affected by the COVID-19 pandemic. On February 7, 2022, Georgia was added to the list of countries whose citizens can enter Greece for any purpose. The environment is rapidly changing, so the development of outbound tourism has become popular, from Georgia to Greece. Georgia has a great potential to develop outbound tourism in the direction of Greece. The thought, the study of existing services and products of the leading tourism industry will help owners of private businesses in this type of tourism to have a better understanding of the market and to see what the risks are.

### თეონა რეხვიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბაკალავრი ხელმძღვანელი: **მაია მელაძე** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# ღვინის ტურიზმის მნიშვნელობა საქართველოსთვის და მისი განვითარების შესაძლებლობები

როგორც მსოფლიოსთვის, ისე საქართველოსთვისაც ტურიზმი საკმაოდ მზარდ სექტორს წარმოადგენს, კერმოდ, ღვინის ტურიზმი კი ერთ-ერთი ყველაზე

აქტუალური მიმართულებაა ტურიზმის ინდუსტრიაში. ახალი საინტერესო გემოების დაგემოვნებისა და აღმოჩენის მიზნით ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტი ტურისტი ერთვება ღვინის ტურებში. ყველა ადამიანი მუდმივად ემებს და ცდილობს აღმოაჩინოს სიახლეები, სწორედ ამიტომაა, რომ ღვინის ტურიზმი დიდი პოპულარობით სარგებლობს. საქართველო არის ქვეყანა რომელსაც ღვინის ტურიზმის განვითარების საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია. სწორედ ამიტომ საჭიროა სხვადასხვა ღონისძიების გატარება რომლებიც ხელს შეუწყობს ამ პროცესს. ასევე უნდა დაიგეგმოს განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანია სრულად და სწორად იქნას გამოყენებული საქართველოს ღვინის რეგიონების ყველა რესურსი. ღვინის ტურიზმი დიდ როლს შეასრულებს მევენახეობა-მეღვინეობისა და ტურიზმის დარგის განვითარებაში. აგრეთვე ხელს შეუწყობს ქვეყანაში სხვადასხვა პრობლემის მოგვარებას, რომლებმაც შესაძლოა მომავალში საფრთხე შეუქმნას საქართველოს მასშტაბით ღვინის რეგიონების წინ წაწევას მსოფლიო ბაზარზე. ეს პრობლემები შეიძლება იყოს სოციალური, ეკონომიკური. ამიტომ აუცილებელია ქვეყანაში ტურისტების დიდი ნაკადის მუდმივად შემოსვლა ტურისტული ინდუსტრიის, კერძოდ ღვინის ტურიზმის შემდგომი განვითარების მიზნით.

Teona Rekhviashvili
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: Maia Meladze
Doctor of Business Administration,
Associate Professor

# The importance of wine tourism for Georgia and its development opportunities

For both the world and Georgia, tourism is a growing sector; in particular, wine tourism is one of the most relevant directions in the tourism industry. More and more tourists are getting involved in wine tours lately to taste and discover new interesting flavors. Everybody is constantly looking for and trying to discover the news, which is why wine tourism is so popular. Georgia is a country that has a great potential to significantly develop wine tourism. That is why it is necessary to take various measures that will facilitate the development process. Also, plan the most important factor for development - infrastructure. It is important to fully and correctly use all the resources of the wine regions of Georgia. Wine tourism will play a big role in the development of viticulture and winemaking. It will also help solve various problems in the country, which may in the future threaten the advancement of wine regions throughout Georgia in the world market. Therefore, it is necessary to constantly infiltrate the country with a large flow of tourists to further develop the tourism industry, in particular wine tourism.

# ფინანსების ქვესექცია Subsection of Finances

#### გიორგი კაპანაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მაგისტრანტი ხელმძღვანელი: **თეა კასრაძე** ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

# ყარაბაღის კონფლიქტი. მისი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური გავლენები საქართველოზე

ნაშრომში განხილულია ყარაბაღის მესამე ომისგან გამოწვეული ახალი და მისგან გამოწვეული პოლიტიკური განლაგებები ეკონომიკური პოლიტიკური გამოწვევები საქართველოსათვის. კვლევაში განხილული იქნება კავკასიის ახალი პოლიტიკური გარემო, რომელიც ყარაბაღის ომის შემდგომ ჩამოყალიზდა. განხილულია რა როლი და შესაძლებლობები შეიძლება მიიღოს საქართველომ და რეგიონის დანარჩენმა ქვეყნებმა ამ ომის შემდგომ. ეკონომიკური ნაწილში განხილულია ის შედეგები, რაც ყარაბაღის ომმა მოიტანა და ის შესაძლო სიახლეები, რაც საქართველოს, როგორც მთავარი სახმელეთო ჰაბის მომავალზე ძალზე უარყოფითად შეიძლება აისახოს. პოლიტიკური და ეკონომიკური მიმოხილვეზის შემდეგ, რაც აღნიშნულმა ომმა გამოიწვია, დასკვნაში წარმოდგენილია ავტორის ის ხედვები, რამაც უნდა უზრუნველყოს სწორედ ამ როლის დივერსიფიკაცია და საქართველოს, როგორც სატრანზიტო ჰაბის სხვა მიმართულებებითაც განვითარება.

Giorgi Kapanadze
Caucasus International University
Master's degree
Supervisor: Tea Kasradze
Doctor of Economics,
Professor

#### Karabakh Conflict. Its Geopolitical and Economic impacts on Georgia

